


# ხობის მოამბე

№ 4–5 (7046–47)
15 მარტი, სამშაბათი,
2011 წელი. ფასი 50 თეთრი


ამონარიდები

## საქართველოს პრეზიდენტი რუსთავში პენსიონერებს შეხვდა

პირველი სექტემბრიდან ქვეყანას გაუჩნდება საშუალება მინიმალური პენსია გახდეს 100 ლარი. იმედია, ხელს სხვა არაფერი არ შეგვიშლის.

თქვენ იცით, რომ თბილისში პენსია ათი ლარით მეტია და სექტემბრიდან ყველას 100 ლარი ექნება. პენსიო პაკეტს და ეს გულისხმობს საბაზო პენსიას, დანამატებს სტაჟის მიხედვით და სამედიცინო დაზღვევას. სხვათა შორის, დაზღვევა კარგად მუშაობს და იმისთვის გვინდა, რომ დაზღვევის მფლობელს მისი საშუალებით საავადმყოფოში ხელი მი-



სტაჟისა და დამსახურების მიხედვით ამ თანხას დაემატება 7 ლარი და გახდება 107 ლარი.

რა თქმა უნდა, მათ, ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება და, სამწუხაროდ, საქართველოში პენსიონერების 30 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები არიან და მათ კიდევ 30 ლარიანი დახმარება ექნებათ. ამას ემატება 15-ლარიანი დაზღვევა, რაც მთლიანად გამოვა 152 ლარი.

ასე რომ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მაგ დროისათვის გადავლახავთ მინიმალურ სამომხმარებლო კალათას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მინიმალური სამომხმარებლო კალათა ჩვენთვის არის საკვები. საქართველოში დაუცველ ოჯახებში არავინ არ იქნება, ვისაც არ ექნება ამ მინიმალურ კალათაზე ნაკლები, რაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა პენსიონრებისთვის და ეს პირველ სექტემბრამდე მოხდება.

ჩვენ ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი საარჩევნო დაპირება 100 დოლარიანი საპენსიო პაკეტის თაობაზე. მე მუდმივად ვახსენებ საუწვდებოდეს ყველანაირ მკურნალობაზე.

კონცეტრირებული მცდელობებით, ჩვენი მკაცრი მოთხოვნების შემდეგ, წამლების ფასი ბიზნესმა, გარკვეულწილად, დაასტაბილურა.

იმისათვის, რომ მომავალი წლიდან გადავიდეთ 100 დოლარის ეკვივალენტის საპენსიო პაკეტზე, უნდა განვახორციელოთ დიდი საპენსიო რეფორმა. ეს არის სრული გეგმა.

საპენსიო რეფორმა ნიშნავს არა იმას, რომ თქვენი პენსია უნდა შეიცვალოს (ის რა თქმა უნდა, უნდა გაიზარდოს), არამედ იმას, რომ გადასახადების აკრეფის, ბიუჯეტის განაწილებისა და, გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის შედეგად, საბოლოოდ, მოგებული პენსიონერი დარჩეს.

იმედი მაქვს, მომავალი წლის პირველი ნახევრიდან, საქართველოში მივუახლოვდებით ამ საპენსიო პაკეტს –100 დოლარიან ექვივალენტს და ძირითადი კატეგორიის პენსიონრებისთვის ეს იყოს გარანტირებული. თუმცა, ამისათვის საჭიროა სერიოზული საპენსიო რეფორმა.

## 20 ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერის შემდეგ, მთავრობამ 30 ლარიანი სასურსათო ვაუჩერის დარიგება დაიწყო

### მოსახლეობასთან საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრები გრძელდება

>>>>> 5






### თათბირი საკრებულოში

>>>>> 4



### მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

>>>>> 4



### „ბედის ბორბალს" შეჭიდებული

>>>>> 9



### „მაქსიმალურად მობილიზებული ვარ..."

>>>>> 5



### „მე ვარ ოჯახი"

>>>>> 7

კვირაძალის ნასაკითხი

*როგორ უყვარდათ დიდ ადამიანებს*

### ბარათებში გაბნეული სიყვარული

>>>>> 13

3 მარტი



## დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო!

8 მარტი



## მიხეილ სააკაშვილმა დონალდ ტრამპის საქართველოში ინვესტირებაზე Fox News-ის ეთერში ისაუბრა



საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა დონალდ ტრამპის მიერ საქართველოში ინვესტირების შესახებ ტელეკომპანია Fox News-ის გადაცემა Your World-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ტრამპი საქართველოში, კერძოდ კი შავი ზღვის სანაპიროზე მასშტაბურ ინვესტიციას ახორციელებს.

„ჩვენ, ზღვის სანაპიროსთან ერთად, გვაქვს ადგილები, სადაც ორიოდე საათში შეგიძლია იცურო და თხილამურებით ისრიალო. ფაქტია, რომ ის ასეთი ინვესტიციებით პირველად მოდის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ეს ძალიან სიმბოლურია“, - განაცხადა სააკაშვილმა.

მან ტრამპის გადაწყვეტილების მიზეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით ნომერ პირველი სახელმწიფოა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში მილიონობით დოლარის ინვესტიციებზე საუბრობენ.

„მაშინ, როცა რუსეთი კორუფციის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უარესი ადგილია, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მონაცემებით, საქართველო კორუპციასთან ბრძოლაში მთელ მსოფლიოში პირველი სახელმწიფოა და სხვათა შორის, მსოფლიოში ერთ-ერთი და ევროპაში მეორე უსაფრთხო ქვეყანაა“, – განაცხადა სააკაშვილმა.

**„ინტერპრესნიუსი“**

## დონალ ტრამპი: აშშ უნდა ამაყობდეს, რომ ისეთი პარტნიორი ჰყავს, როგორიც მიხეილ სააკაშვილია



გავლენიანი ამერიკელი მილიარდელის დონალ ტრამპის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი მთელი ევროპისა და მსოფლიოსთვის კერპია.

„თქვენ მთელს ევროპაში და მსოფლიოში კერპი ხართ. ის საქმე, რაც თქვენ გააკეთეთ, ნამდვილად უპრეცენდენტოა... თქვენ ხართ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი“,–ასე მიმართა ტრამპმა საქართველოს პრეზიდენტს, ნიუ იორკში გამართულ შეხვედრაზე.

მისივე განმარტებით, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ამაყობდეს, რომ ისეთი პარტნიორი ჰყავს, როგორიც მიხეილ სააკაშვილია.

„საქართველო არის ნომერ პირველი რეფორმატორი მსოფლიოში ბოლო 5 წლის განმავლობაში და ეს მსოფლიო ბანკის მონაცემებია. ნომერ პირველი მებრძოლი კორუფციის წინააღმდეგ - „ტრანსფერენს ინტერნეიშენალის“ თანახმად. ეს ძალიან მაგარია. გარდა ამისა, საქართველო ნომერ პირველი ქვეყანაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბიზნესის ადვილად კეთების კუთხით და რაც ცოტა მაღელვებს, ნომერ მეორე უსაფრთხოების მიმართულებით, ამას უნდა მივხედოთ. ასეთი რამ თქვენ არ გახასიათებთ. მომავალ წელს ამ კუთხით საქართველო იქნება ნომერი პირველი. ეს ყველაფერი ამ ადამიანის გასაოცარი საქმის დამსახურებაა და არ მინდა პოლიტიკურად ვთქვა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი გონიერი სიძლიერე ჩვენს დიდებულ სახელმწიფოშიც“, - განმარტა ტრამპმა მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ გავლენიანი მილიარდელი საქართველოში კერძო ინვესტიციას ჩადებს. ის ბათუმსა და თბილისში საცხოვრებელ კომპლექსსა და სასტუმროს ააშენებს.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## ზურაბ აბაშიძე: „მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსეთს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს“



პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, „მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსეთს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს“.

აბაშიძის განცხადებით, „ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებების პირველივე რაუნდში შეთანხმების მიღწევა მოსალოდნელი არ იყო, თუმცა ადრე თუ გვიან, რუსეთი და საქართველო აღნიშნულ საკითხზე შეთანხმდებიან“.

„დავინტერესდი, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ქართული მხარის ხედვის მთავარი პრინციპი და ასეთი პასუხი მივიღე: საქართველოს დელეგაცია დააყენებდა საკითხს, თუ როგორ წარმოუდგენია რუსეთს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში არსებული სიტუაციის მსო-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა. საქართველოს დელეგაცია საკმაოდ კონსტრუქციულად იყო განწყობილი. რამდენად მზად იყო რუსული მხარე ასეთი მიდგომისადმი, ჩემთვის უცნობია, მაგრამ პირველივე შეხვედრაზე კონკრეტული შედეგის მიღწევა არც იყო მოსალოდნელი“,–განაცხადა აბაშიძემ.

რაც შეეხება საუბრებს იმის შესახებ, რომ აშშ, როგორც რუსეთის მსო-ში გაწევრიანებით დაინტერესებული სახელმწიფო, ამ საკითხში საქართველოზე ზეწოლას ახორციელებს, ექსპერტის აზრით, „მიუხედავად რეკომენდაციებისა, რომელიც შეიძლება, დასავლეთის მხრიდან მართლაც ყოფილიყო, არის ელემენტარული მოთხოვნები, რომელსაც საქართველო ცალმხრივად ვერ დააკმაყოფილებს“.

„აშშ-ის, ევროკავშირის და ჩვენს ინტერესებშიც შედის, რუსეთი „მსო-ში“ გაწევრიანდეს და რაც შეიძლება, მეტად იყოს ინტეგრირებული მსფლიოს ცივილიზებულ ცხოვრებაში. შესაძლოა, დასავლეთის მხრიდან გარკვეული რეკომენდაციები იყოს, თუმცა ყველას ესმის, რომ არის ელემენტარული მოთხოვნები, რომელსაც საქართველო ცალმხრივად ვერ დააკმაყოფილებს, მათ შორის–თავად მსოის წესები“–აღნიშნა აბაშიძემ.

ამასთან, მან ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ „ჟენევის ფორმატის შემდეგ ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებები მეორეა, სადაც რუსეთი და საქართველო ერთმანეთს ესაუბრებიან“ და აქვე იმედი გამოთქვა, რომ „ადრე თუ გვიან, მხარეები შეთანხმებას შეძლებენ“.

„არსებული რეალობიდან გამომდინარე, რუსეთსაც მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა, თუმცა ჯერ-ჯერობით იმაზე საუბარი, რა მაქსიმალური სარგებელი შეიძლება, მიიღოს ქართულმა მხარემ, ნაადრევია“, – დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები ბერნში კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა. მხარეები კიდევ ერთხელ სავარაუდოდ, ორ თვეში შეიკრიბებიან.

**“პირველი”**

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველომ რეგიონში ახალი წესრიგი შექმნა

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო რეგიონში ახალი წესრიგის მაგალითი გახდა.

„როცა რეფორმები დავიწყეთ, მიზანი არ იყო ვინმესთვის ნიშნის მოგება, ვინმესთვის ზემოდან ყურება. მიზანი იყო ჩვენს პატარა ქვეყანაში აგვეშენებინა ნორმალური ცხოვრება. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორსაა, სანამ ცხოვრება იქნება ნორმალური, მაგრამ იმხელა ძალები დაგვიპირისპირდნენ ამ ჩვენს მოკრძალებულ სურვილში, რომ პორაქტიკულად, ჩვენი ქვეყანა გახდა ახალი წესრიგის შემქმნელი რეგიონში“, –განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ნიუ იორკში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

მისივე განმარტებით, ქვეყნის წარუმატებლობის მსურველებს ამ ახალი წესრიგის დასამარება სურს, თუმცა საქართველო მის კიდევ უფრო გასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს.

„ჩვენ, პრაქტიკულად, ჩვენდაუნებურად ვიტვირთეთ ეს ისტორიული მისია და არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა რეგიონისთვის. ეგვიპტესა და ტუნისში მომხდარი რევოლუციების შემდეგ, უამრავი ხალხი გამოთქვამს სურვილს, ჩამოვიდნენ საქართველოში და სწორედ ჩვენს მიერ გატარებული რეფორმები შეისწავლონ. ეს არის სინამდვილე“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## გიორგი ბარამიძე: „რუსეთი საქართველოსთან ვითარების დაძაბვას ჩრდილოეთ კავკასიაში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ცდილობს“



რუსი მაღალჩინოსნის განცხადებას „საქართველოს მხრიდან საზღვრის გადაწევის“ შესახებ ქართული მხარე „პროვოკაციად“ და „ცინიზმის მორიგ გამოხატულებად“ აფასებს.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ დღეს მთავრობის სხდომამდე განაცხადა, „ამ პროვოკაციით რუსეთი საქართველოსთან ვითარების დაძაბვას ცდილობს, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში საკუთარი მიზნები განახორციელოს“.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის შეფასებით კი, „საქართველოს დეოკუპაციამდე რუსეთს მსგავსი პრეტენზიების გამოთქმის უფლება არ აქვს“.

„რუსეთის ფედერაცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას ურცხვად აგრძელებს. მას არც სამართლებრივი და არც მორალური უფლება აქვს, რაიმე სახის პრეტენზია წამოუყენოს ქართულ მხარეს მანამ, სანამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციას არ მოახდენს“,–განაცხადა ტყეშელაშვილმა და დასძინა, რომ „ეს განცხადება რუსეთის მხრიდან სარკაზმის მორიგი გამოხატულებაა“.

მოსკოვის მტკიცებით, „საქართველო რუსეთ-საქართველოს საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთზე პრეტენზიას აცხადებს“.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის, გენერალ-პოლკოვნიკ ვიაჩესლავ დოროხინის განცხადებით, „საქართველო რუსეთ-საქართველოს საზღვრის ოსურ მიმართულებაზე, ზემო ლარსის რაიონში ერთ-ერთ მონაკვეთზე დავობს და ბოლო პერიოდში ძველი შეთანხმების დარღვევით იქ პოსტიც გახსნა“.

„ეს საკითხები ჩვეულებრივ საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ განიხილება და როგორც წესი, ორივე მხარისთვის მისაღები ინტერესების შესაბამისად წყდება“, –განაცხადა დოროხინმა.

**„პირველი“**

# მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომა საკმაოდ დატვირთული გამოდგა, როგორც შინაარსობრივად, ასევე განსახილველ საკითხთა სიმრავლით. სხდომაზე განკარგულებებისა და დადგენილებების 17 პროექტი იქნა განხილული, საკრებულოს წინაშე 2010 წელს ხობის გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორი ტყებუჩავა. საკრებულოს მუშაობა დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად დაიწყო:

1.„**ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა.**

**(მომხსენებელი: გ. ქაჯაია-ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შემუშავებულიქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოდის შემდეგი ადგილობრივი (ქონების) გადასახადი: საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის მიღებულ აქტივებზე და ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე, ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, სათიბებზე, საძოვრებზე, ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების მიწებზე, ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილ მიწებზე და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

პროექტზე მსჯელობის შემდგომ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად, მიიღო დადგენილება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მათი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე.

**4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“** ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2010 წლის 1 ოქტომბრის №10 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე**).

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილიქნა დადგენილების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №10 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, აღნიშნული ცვლილებები გამოწვეული იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებებიდან და გამგეობის მუშაობის ეფექტურობის დონის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ნაცვლად ორი მოადგილისა, ეყოლება სამი მოადგილე, ასევე იქმნება გამგეობის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული ზედამხედველობის სამსახურის სახით. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიიღო დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**5.„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ.ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**10. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი:მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**11. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ.ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).



**12. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ.ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

**13. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე**).

რაც შეეხება საკრებულოს სხდომაზე მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტებს, შეეხებოდა გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებას და გამოწვეული იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებებიდან. რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ასახულიყო შესაბამისი სამსახურების დებულებებში, აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით გამგეობის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეულის „ხობის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის“ შექმნას, რომლის ძირითადი ფუნქციები იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, აღნიშნულ საქმიანობაზე ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიიღო დადგენილება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ

14.„**ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის №51 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე**)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში, ზემოთ თქმულისა და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილიქნა დადგენილების პროექტი–2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად მიიღო დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის №51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**15.„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 4 ოქტომბრის №118 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა.**

**(მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისის თავმჯდომარე).**

**16. შ.პ.ს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №88 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა. (მომხსენებელი: მ.სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).**

**17. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის №49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა. (მომხსენებელი: მ.სილოგავა-იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისის თავმჯდომარე).**

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-15, მე-16, და მე-17 საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტები შეეხებოდა საკრებულოს მიერ დაფუძნებული და შექმნილი იურიდიული პირების წესდებების ცვლილებებს და ატარებდა ორგანიზაციულ ხასიათს. საკითხებზე მსჯელობის შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი განკარგულებები.

საკრებულოს სხდომის დასასრულს საკრებულოს წინაშე ანგარიშით წარსდგა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **იგორ ტყებუჩავა,** რომელიც მიესალმა საკრებულოს დეპუტატებს, მედიისა და საზოგადოების, ასევე სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს. მათ, ვინც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით იშრომა . პროფესიული, ინტელექტუალური თუ ფიზიკური ენერგია მოახმარა 2010 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში გატარებულ ყველა ღო-

>>>>> 4

ოფიციალური გვერდი

# მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 <<<<<

ნისძიებას. მან განაცხადა, რომ სწორედ ამ ადამიანურ რესურსზე დაყრდნობით, მათი თანამონაწილეობით, სახელწიფო ინტერესებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების გათვალისწინებით დამტკიცდა 2010 წლის ბიუჯეტი, ხოლო მისი შესრულების შედეგები ხობზე აისახა. გამოსვლის პირველ ნაწილში გამგებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშზე, რომლითაც იგი წარსდგა ქართველი ხალხის წინაშე, სადაც სწორედ იმ პრობლემებსა და გასაჭირს გაუსვა ხაზი, რასაც გაძვირებული ფასები და გაძვირებული ცხოვრება წარმოადგენს, რაც თავისთავად გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება. გამგებელმა აღნიშნა, რომ ,,პრეზიდენტის ხედვა, სადაც ის სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდის შეჩერების



ერთ–ერთ მთავარ ინსტრუმენტად ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებასა და გატარებული რეფორმების გაგრძელებად ირიგაციის, მექანიზაციის, სასაწყობე მეურნეობებისა და ლოჯისტიკურ მაჩვენებლების შექმნასა და განვითარებას ასახელებს, განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი მუნიციპალიტის ტიპის რაიონისთვის. საანგარიშო მოხსენება კი სწორედ ამ სფეროდან დაიწყო: რადგან, განაცხადა მან: **,,რაც არ უნდა გავაკეთოთ საბიუჯეტო ნაწილის განხორციელებისათვის, ეს არ იქნება საკმარისი, თუ არ განვავითარეთ თითოეული ხობელის ოჯახური სამომხმარებლო კალათა, ანუ სამეურნეო შემოსავალი არ გავხადეთ უფრო პროდუქტიული, ვიდრე დღესაა“.**

გამგებელმა საინტერესოდ ისაუბრა მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის რეალურ შესაძლებლობებზე, შიდა პროდუქტის წარმოების რეალურ სურათზე, მარცვლეული და სუბტროპიკული კულტურების, მეფუტკრეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე **,,ჩვენს ტერიტორიაზე ხელი უნდა შეეწყოს დაფნის, ჩაის, სოიოს, თხილის, კივის კულტურას კვებითი ღირებულებითა და გემოთი გამორჩეული მეციტრუსეობის განვითარებას“, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ტუნგოს პლანტაციების, სამკურნალო მცენარეების ტრადიციების აღდგენაზე.**

ასევე ისაუბრა ბუნებრივი თერმული წყლების ნაწილის სასათბურე მეურნეობების განვითარებისკენ მიმართვისა და პირველ რიგში, მათი სამკურნალო თვისებების გამოყენებაზე. განსაკუთრებით შეეხო კლიმატმედეგი, მაღალშემოსავლიანი სიმინდის თემას **,,მიმდინარე წელს სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა კლიმატმედეგი, გვალვაგამძლე მარცვლეული კულტურის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამაზე, რაც შესაბამისად განავითარებს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, სწორედ ეს გვიხსნის სხვა ქვეყნების პროდუქციის შემოდინებისაგან და პირიქით, ჩვენი პროდუქტი თუ პირველ ეტაპზე ექსპორტზე დიდი რაოდენობით ვერ გავიდა, ყოველ შემთხვევაში შიდა მოთხოვნას დააკმაყოფილებს და დამეთანხმებით, ეს ძალიან დიდი ნაბიჯია.“**

აღნიშნა, რომ მაღალმწარმოებლური უცხოური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველსაყოფად ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სოფლებში არის ტექნიკის დეფიციტი, პრეზიდენტის ძალისხმევით ამხანაგობებზე გაცემული აგროტექნიკა დატვირთვით მუშაობს, რათა დანაკარგები მინიმალური იყოს.

**,,თვითდაჯერების და თვითკმაყოფილების გრძნობა, ნამდვილად არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს, თუმცა მსოფლიო კრიზისის ფონზე სწორი ბიზნესპოლიტიკის შედეგად მოქმედმა ძლიერმა ინვესტიციამ ყულევის ტერმინალის სახით– ჩვენი ბიუჯეტის ნიშნული გარკვეულწილად გაამაგრა.“**

შესავალი ნაწილის შემდეგ გამგებელმა წარმოადგინა ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ, სადაც განხილული იყო საფინანსო–საბიუჯეტო საკითხები, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოები. ხაზი გაუსვა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ,,ნიშანდობლივ წარმატებას და აღნიშნა, 2010 წლის პროგრამის შემუშავებაში მოსახლეობის აქტიურობაზე. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სფეროში გაცემულ დახმარებებსა და განხორციელებულ პროექტებთან ერთად ხაზი გაუსვა „ასი ახალი საავადმყოფოს“ პროგრამით ხობში ახალი საავადმყოფის მშენებლობის საკითხს, ისაუბრა სოციალურად დაუცველ ფენაზე და შეფასების დროს სოციალურ აგენტებთან კოორდინაციის, ტერიტორიული ერთეულების, რწმუნებულებისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების აუცილებლობაზე. ასევე შეეხო იძულებით გადაადგილებულ პირთა, მრავალშვილიანი, უმწეო ოჯახებისა და ომის ვეტერანების სოციალური დახმარების პროგრამებზე.

**,,2010 წლის განმავლობაში კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ჩატარებული საინტერესო ღონისძიებების ჩამონათვალი და ხობის ისტორიული წარსულიდან გახსნილი ახალი აღმოჩენები, 2010წლის ხობისათვის დადებით სახეს ქმნიდა. ისე, როგორც ახალგაზრდა ხობელი სპორტსმენების წარმატებები“-** განაცხადა მან.

გამგებელმა აღნიშნა სამაშველო-სახანძრო სამსახურის ოპერატიული მუშაობა, არა მარტო მუნიციპალიტეტის, არამედ რეგიონის მასშტაბით და მადლობა გადაუხადა პირად შემადგენლობას. ასევე ისაუბრა სამხედრო სამსახურის მიერ წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ. საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით „ხობის მოამბეს“ როლზე მუნიციპალიტეტის კულტურულ, საგანმანათლებლო, ისტორიულ ღირებულებათა პოპულარიზაციის, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვრცობის პროცესზე. ხაზგასმით აღნიშნა მუნიციპალიტეტში მიმდინარე საკითხების განხილვაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა, რისი ერთ-ერთი მაგალითი წლის ბიუჯეტის განხილვით გამოიხატა.

გამგებელმა საანგარიშო მოხსენების ბოლო ნაწილში გააკეთა ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომელიც 2010 წლის განმავლობაში საქართველოს ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების მიერ განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტში და რომელიც სხვა პროექტებთან ერთად 2011 წელს გაგრძელდება.

ეს არის 2010 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაწყებული საპრივატიზაციო პროცესის მთავარი პრიორიტეტი. სოფლის მეურნეობის განვითარება და ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა, რაც 2011 წლისთვის დამატებით შემოსავლებს და მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს.

ეს არის „სს „ენერგოჯორჯიას“ მიერ ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ელექტროგამრიცხველიანების სახელმწიფო პროექტის ფარგლებში 2010 წელს განხორციელდა ქალაქის სააბონენტო ქსელის გამრიცხველიანება და ეტაპობრივად გრძელდება მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულებში. პრეზიდენტის მიერ ხაზგასმული ინფორმაცია, რომ საქართველოს ყველა ოჯახს დაურიგდება ელექტროენერგიის 20 ლარიანი ვაუჩერი და ასევე სასურსათო ვაუჩერი–მოსახლეობისათვის სასიამოვნო ცნობაა.

დაწყებულია აუცილებელი ინტენსიური სამუშაოები წლების განმავლობაში მოშლილი წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად, რაც მუნიციპალიტეტისათვის ძირეული მნიშვნელობისაა. ამ სექტორში მუშაობს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელთანაც მუდმივად ვმუშაობთ პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტი გზების ძიებაზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავს ქალაქის 40 ქუჩას 50 კილომეტრი რადიუსის მაგისტრალით, რომლის ქსელში ჩაერთვება 2481 აბონენტი.

ეს არის მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების პროექტები ,,2010 წლის სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამებით გათვალისწინებული და განხორციელებული ის სამუშაოები, რომლებმაც ეს სამი კომპონენტი–შენება, რეაბილიტაცია და დასაქმება გააერთიანა. ამ წინსვლაში თავისი წვლილი დაიდო ხობის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულმა სამუშაოებმა.

შესრულებული სამუშაოები გამოკვეთილად ჩანს, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

მადლობა გადაუხადა საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლობას წლის განმავლობაში კოორდინირებული მუშაობისათვის:

,,ჩვენ ერთად მეტი უნდა შევძლოთ თითოეული ხობელისათვის, რომ რეგიონში და სახელმწიფოში ერთ-ერთი წარმატებული მუნიციპალიტეტი გვერქვას. ამის დიდი პოტენციალი ნამდვილად გვგავაჩნია“.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავისი გამოსვლა დაასრულა საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით:

„მოდერნიზებული საქართველო ნიშნავს განვითარებული ეკონომიკის მქონე საქართველოს, სადაც არის ბევრი სამუშაო ადგილი, ღირსეული შემოსავლის წყარო, კეთილდღეობის მოპოვებისა და შესაძლებლობების რეალიზების საშუალება, ჩვენ ერთი წუთით არ დავხრით მუხლს საქართველოს მოდერნიზაციისათვის ბრძოლასა და შრომაში. ამიტომ ჩვენ გადავლახავთ ნებისმიერ დაბრკოლებას და დავძლევთ ნებისმიერ სირთულეს. ჩვენ ვიმოძრავებთ მხოლოდ წინ და აუცილებლად გამარჯვებისათვის.“

## თათბირი საკრებულოში

9 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს თავჯდომარემ **ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ** თათბირი ჩაატარა, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს ბიუროს, აპარატის, საგანმანათლებლო და კულტურის ცენტრების თანამშრომლები. თათბირზე საუბარი იყო ბევრ გადაწყვეტილ და გადაუწყვეტელ პრობლემაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავჯდომარემ **ბატონმა გოგი ქაჯაიამ** ისაუბრა ქარიშხლის მიერ დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციაზე: „ყველაფერი აღწერილია, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად, და უახლოეს მომავალში, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება, ამ ობიექტების რეაბილიტაციაც დაიწყება“,–თქვა მან. იყო ასევე საუბარი საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით, რომლის დადგენილება მიღებულია და არ არის შესრულებული. ეს პრობლემაც უახლოეს ვადებში უნდა იქნას მოგვარებული. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებზე, რომლებიც ითხოვენ ერთჯერად დახმარებებს, კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ დახმარებისათვის მცირე თანხებია გამოყოფილი. დახმარებები არ უნდა გაიცეს არამიზნობრივად და თითოეული კორესპოდენცია ამ საკითხთან დაკავშირებული უნდა იქნას გადამოწმებული.

საკრებულოს წინაშე ანგარიშით წარსდგა სკოლამდელი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ქალბატონი მანანა წულეისკირი,** რომელმაც განაცხადა, რომ ბაღების მუშაობა აღდგა. ბავშვებისათვის ამ დროისათვის ყველა პირობაა შექმნილი. არის პატარ–პატარა ხარვეზები, რომელიც გამოსწორებადია და გამოსწორდება.

ასევე საუბარი იყო კომუნალური სამსახურის შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ არასაკმარისად შეაფასა გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის მუშაობა.

ასევე გამოითქვა უკმაყოფილება საკრებულოს აპარატის თანამშრომლების მუშაობაზე. თითოეულ იქ დამსწრეს შესასრულებლად მიეცა ახალი დავალებები. თუ როგორ შევძლებთ ამ დავალებების შესრულებას, შემდეგი თათბირიდან შევიტყობთ.

მოამზადა ნინო გერგაიამ.

## მოსახლეობასთან საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრები გრძელდება

9 მარტს **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე** შეხვდა სოფელ ჭალადიდის მოსახლეობას, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლებს. საუბარი შეეხო ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. საკრებულოს თავმჯდომარემ ისაუბრა მსოფლიოში შექმნილ ეკონომიკურ კრიზისზე, იმ ინიციატივებზე, რასაც ხელისუფლება აყენებს იმისათვის, რომ ეს კრიზისი ნაკლებად მტკივნეული გახდეს ჩვენი მოქალაქეებისათვის.

„ენერგოვაუჩერი დარიგდა, უახლოეს დღეებში ყველა ოჯახი მიიღებს სასურსათო ვაუჩერს. ხელისუფლებას აქვს პოლიტიკური ნება, ხალხი დაუცველი არ აღმოჩნდეს პრობლემის წინაშე. მნიშვნელოვანია ხელისუფლების ინიციატივა, რომ სახელმწიფო დაუბრუნდეს თავის ისტორიულ დარგს და გახდეს აგრარული ქვეყანა. ხელისუფლება მზად არის, გვერდში დაუდგეს თავის ხალხს ამ ინიციატივის განსახორციელებლად, რაც, უდავოდ, სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ჩვენგანს, მთელ ქვეყანას დღესაც და სამერმისოდაც“,–აღნიშნა მ. ჭოხონელიძემ.

შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა სოფლის ცენტრისა და შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების საკითხი, განხილულიქნა სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტები, სხვა პრობლემური საკითხები.

შეხვედრა გულახდილი დიალოგის, საქმიანი დისკუსიისა და პოლემიკის ფორმატით წარიმართა. ეს შეხვედრა ერთგვარად ანგარიშის ჩაბარებაც იყო ჭალადიდის მოსახლეობისათვის, თუმცა, საკრებულო მზადაა, 2010 წელს გაწეული მუშაობის სრულფასოვანი ანგარიშით უახლოეს ხანებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე წარსდგეს.

შეხვედრა შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარემ „მუნიციპალიტეტის ხელისუფლება მოსახლეობას ვხდებით არა მხოლოდ იმისათვის, რომ მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, რა კეთდება და როგორია მომავლის ჩვენეული ხედვა, არამედ იმიტომაც, რომ თქვენგან მოვისმინოთ თქვენი პიროვნული სატკივარი, თქვენი სოფლის პრობლემები. არც ჩვენ და არც თქვენ, ცხადია, არ გვინდა შეხვედრა მხოლოდ შეხვედრისათვის, ჩვენი ყოველი შეხვედრა უნდა იყოს საქმიანი, მიზანდასახული და შედეგიანი“ განაცხადა–მან.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრები გაგრძელდება.

## დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ინდივიდუალური გამრიცხველიანება



სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალი ხობის მუნიციპალიტეტში ევროპული ტიპის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებას ახორციელებს. ამ დროისათვის დასრულდა სოფელ ნიჯიხევის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 641 აბონენტს, შეიცვალა 696 ცალი ძველი ხის ბოძი ახალი რკინა-ბეტონის ბოძით, ხოლო ძველი ელექტროსადენები შეიცვალა 30 კილომეტრამდე სიგრძის ახალი სადენით.

## მიმდინარეობს ელექტროგადამცემი ხაზის - „ხიბულა“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალი განაგრძობს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას ხობის მუნიციპალიტეტში ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ავარიული გათიშვების მინიმუმამდე დასაყვანად.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს 35 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის - „ხიბულა“-ს ფუნდამენტური სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანად შეიცვლება 2 ანძა. აღნიშნული ხაზიდან ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევაში ელექტროენერგიით მომარაგდება ზუგდიდის მომსახურების ცენტრის 32 579 აბონენტი და ჩხოროწყუს მომსახურების ცენტრის 1055 აბონენტი. სამუშაოები სრულდება რეგიონის მაღალი ძაბვის ხაზების სამსახურის მიერ.



*კახა ბუკია ახალი სახეა ხობის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოში. ის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ბიუროს წევრი და პირველმაისელთა რჩეულია. დეპუტატის ამპლუაში მან უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები...*

*დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

# „მაქსიმალურად მობილიზებული ვარ...“

***ბატონო კახა, შტრიხები თქვენი პორტრეტისათვის.***

–1966 წლის 27 სექტემბერი ის თარიღია, როცა ამ ქვეყანას მოვევლინე. ჰოროსკოპით სასწორი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ვარ მართლმადიდებელი და ჰოროსკოპს ცოტა არ იყოს სკეპტიკურად ვუყურებ, მაინც ვატყობ, რომ ჩემი ხასიათის ნიშნები იმ მხრივ ემთხვევა, რომ ნამდვილად არ მიყვარს აყალ-მაყალი, ჩემთვის ძვირფასია სიმშვიდე და ადვილად ვპოულობ ჰარმონიას.

***ცოტა რამ თქვენს შესახებ?***

–დავამთავრე როსტოვის საინჟინრო–სამშენებლო ინსტიტუტი, გზების, ხიდების და აეროდრომების მშენებლობის სპეციალობით. გახლდით „აგრომაროილის“ მენეჯერი, ტელევიზია „კოლხეთის მოამბეს“ დირექტორი. ასევე „შავი ზღვის ტერმინალის“ მენეჯერი. შ.პ.ს. „დაფნა და ციტრუსების“ დირექტორი. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე, ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვარ.

მყავს მეუღლე–ეკა გაბისონია და სამი შვილი. მშობლები, რომელთა რჩევა ოჯახის ყველა წევრისთვის ღირებულია.

***როგორ ფიქრობთ, ძნელია ხალხის რჩეული იყოთ?***

–ხალხის ნდობის მანდატი, მის გამართლებას, შესრულებას მოითხოვს. ამიტომ მაქსიმალურად მობილიზებული ვარ მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოში, ერთიან გუნდთან ერთად ავამოქმედო ყველა ის რესურსი, რაც მოსახლეობის ძირითად პრობლემატიკას უკავშირდება. ეს გარკვეულწილად ძნელიცაა და ამავდროულად საინტერესო.

***საკრებულოს დებულებიდან გამომდინარე, რა ფუნქცია გაკისრიათ?***

–როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ვასრულებ ყველა იმ დავალებებს, რაც შესაბამისობაში მოდის საკრებულოს სრული ფუნქციონირებისათვის. საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ვასრულებ მის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების შეუძლებლობის შემთხვევაში.

***რაშია წარმატების საიდუმლო?***

–წარმატების საიდუმლო იმ შრომისმოყვარეობაშია, რაც ადამიანს ღვთისაგან მიენიჭა. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს და კიდევ ვეთანხმები იმ აზრს, საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნაა, ზოგი ამას იღბალს ეძახის, თუმცა ესეც უფლის ნებითაა.

***რას იტყვით მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტზე?***

–ბიუჯეტი მიღებულია. საერთო ჯამში საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შექმნა ბიუჯეტის ის სახე, რაც მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს. ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია, მთავარია მისი სრულყოფილი შესრულება.

***დაასახელეთ პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია?***

–ყველა ადამიანი უნდა იყოს რეალიზებული საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. სწორედ, დღეს ქვეყანა ამ მიმართულებით მიდის. დასაქმება ეს უმთავრესი პრობლემაა და ხობშიც შესაბამისად, ამ პრობლემის გადაწყვეტაზე უნდა ვიზრუნოთ.

***კახა, თანამედროვე ახალგაზრდობა არის წიგნიერი?***

–ყველა დროის ძველი თაობა დამრიგებლის თვალით უყურებს ახალ თაობას. მე ცოტა სხვანაირად ვაფასებ. თუ რამდენად კითხულობენ ჩვენი შვილები, ახალგაზრდები წიგნებს, მათ ახალი ტექნოლოგიები ზღვა ინფორმაციას სთავაზობს. ყველაფერი ეკრანზეა, თითქმის ვიზუალურად ხედავენ იმას, რასაც ჩვენი თაობა წიგნებში ეძებდა. ამიტომ ახალგაზრდების ნაწილს უჭირს წიგნამდე მისვლა, მაგრამ აზრი, რომ კითხვის გამო ნაკლებად განათლებულები არიან, არასწორად მიმაჩნია. შრომისმოყვარეობა და ნიჭი თავის გზას პოულობს.

***რაოდენ ღირებულია თქვენთვის ადამიანის შინაგანი სამყარო?***

–ადამიანი საკუთარ სამყაროს თვითონ ქმნის, მომწონს ისინი, ვინც ამას სიკეთითა და სიყვარულით, განათლებითა და შრომისმოყვარეობით აღწევენ. თუ სულით მახინჯია ადამიანი, მის გარეგნულ სილამაზეს ჩემთვის არანაირი ღირებულება არ გააჩნია.

***რა აზრისა ხართ ქართულ სუფრაზე, მის ტრადიციებზე, თამადობაზე?***

–ქართული სუფრა და ტრადიციები მართლაც, რომ გამორჩეულია. ოჯახში, სანათესაოში, სამეგობროში სიამოვნებას მანიჭებს თამადობა, ჩვეულებრივ დიალოგში უფრო კონკრეტული საუბარი მჩვევია, მაგრამ თამადობისას ვიხსნები, მაქსიმალურად ვარ მობილიზებული ქართული სუფრისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს ვაზიარო ყველა, ვინც მისმენს.

ისე, უცხო გარემოში სხვისი თამადობით ტკბობა მირჩევნია, ძალიან კარგი მსმელი და მსმენელი ვარ.

***თუ საიდუმლო არ არის, სამოსში ყველაზე ძვირი რამდენი გადაგიხდიათ?***

– ცნობილი გამოთქმაა, „მე არა ვარ იმდენად მდიდარი, რომ ასე იაფი გადავიხადო,“ მაგრამ ზუსტად ასე ვიქცევი, ვყიდულობ ხარისხიან ნაწარმს, ვუვლი და საერთო ჯამში, უფრო იაფს ვიხდი, ვიდრე წარამარა ვიყიდო უხარისხო. ეს გამოთვლილი მაქვს.

***პუნქტუალური ხართ?***

–იმის გამო, რომ ნებისმიერ საქმეს ძალიან სერიოზულად ვუდგები, შესაბამისად გამომუშავებული მაქვს პუნქტუალობა, განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობას. სახლში შეიძლება ოდნავ დავაგვიანო ან კონკრეტული საკითხი გარკვეული დროით გადავდო, მაგრამ უპასუხისმგებლო არც ოჯახის წევრებთან ვარ. დრო ფასეულია და მას საკმაოდ ძვირად ვაფასებ.

***სტროფი თქვენი საყვარელი ლექსიდან?***

„ჩემო ქვეყანავ, გეტყვი მარტივად,
დიდ–პატარაში არ გქონდეს ეჭვი,
შენს სამსახურში ყველა ერთი ვართ,
როგორც ციხისთვის ლოდი და კენჭი.“

გმადლობთ საუბრისთვის.

*საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.*

# გვიყვარდეს ერთმანეთი და ცხოვრებაც მშვენიერი იქნება



***შოლინა კანკია,***

***ხობის მუნიციპალიტეტის შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დევნილთა, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი.***

**შტრიხები პორტრეტისათვის**

–დავიბადე 1958 წელს, ზოდიაქოს ნიშანია ტყუპები. ხასიათით, ჰოროსკოპის მიხედვით ტყუპები არიან მდიდარი ბუნებით, მრავალმხრივი ნიჭის მქონენი, დაჯილდოებულნი არიან იდეებით. ოდნავ ზედაპირულები და დაბნეულები. აქვთ ნათელი გონება. დამთბობები და თავაზიანები. ადვილად უმეგობრდებიან ყველას. გააჩნიათ იუმორის გრძნობა, უყვართ კრიტიკა, სიტყვისათვის ჯიბეში არ ჩაიყოფენ ხელს, აქვთ მიდრეკილება ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერებისადმი.

***ეთანხმებით აზრს, რომ ახალგაზრდა თაობა არ კითხულობს წიგნებს?***

–ვეთანხმები იმ აზრს, რომ ახალგაზრდა თაობა არ კითხულობს წიგნებს ისე, როგორც ჩვენი თაობა, ანუ არ ზიან ბიბლიოთეკებში, არ არიან წიგნებით მეტად დაკავებულნი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩვენი დროის თაობაზე ნაკლებად განათლებულები არიან. მე ვთვლი, პირიქით, მათ მეტი ინფორმაციები აქვთ და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით მეტ განათლებას ღებულობენ.

***ბევრი ამბობს, რომ პირველ რიგში, ადამიანის შინაგანი სამყაროთი იხიბლება, თქვენს შემთხვევაში როგორ ხდება?***

–ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანის შინაგანი სამყაროა, როცა ადამიანს არ იცნობ, რა თქმა, უნდა გარეგნული შეხედულება გიზიდავს, მაგრამ ის ფასს კარგავს, თუ შინაგანად არ არის მომხიბლავი.

***პატარაობისას ნაოცნებარია თქვენი პროფესია „ექიმობა“, თუ რაიმე შემთხვევამ გამოიწვია გამხდარიყავით ექიმი?***

–რომ გითხრათ სულ პატარაობიდან ვოცნებობდი არა, მაგრამ როცა დავდექი არჩევანის წინაშე რა პროფესია ამერჩია, ექიმობა გადავწყვიტე. მართალი გითხრათ, ახლობლები მირჩევდნენ სხვაგან ჩამებარებინა, რადგან იმ პერიოდში სამედიცინოზე მოწყობა ერთეულების ხვედრი იყო, თან ჩვენ ოჯახში ოთხი და–ძმა ობლობაში ვიზრდებოდით, მაგრამ იმდენად ვიყავი მონდომებული და გულით მინდოდა, რომ ჩემი გავიტანე, რა თქმა უნდა, დიდი შრომის ფასად.

***რა არ მოგწონთ ქალის მენტალიტეტში?***

–ქალის მენტალიტეტში არ მომწონს ზედმეტი სისუსტე.

***რა აზრის ხართ სრულ, პიროვნულ თავისუფლებაზე?***

–სრული პიროვნული თავისუფლებას ვეთანხმები, თუ ზნეობრივ ღირებულებებს არ გადააჭარბებს.

***რამდენი წელია მუშაობთ დღევანდელ თანამდებობაზე, გქონიათ თუ არა რთული პერიოდები, როდის, რატომ?***

–2000 წლიდან ვმუშაობ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსად, რომელსაც 2003 წლიდან დაემატა დევნილთა და ვეტერანთა საქმიანობაც. რთული პერიოდები გამაჩნდა, რა თქმა უნდა, როგორც ყველას, როცა ახალ ამპლუაში გიხდება მუშაობა არის გარკვეული სირთულეები, მაგრამ ჩემი შინაგანი განწყობით გადავლახე და მერე ყველაფერი თანდათანობით დალაგდა.

***რა პროექტები განხორციელდა გასულ წელს თქვენი სამსახურის მეშვეობით, აქედან რომელი იყო წარმატებული?***

–გასულ წელს ჩვენმა სამსახურმა შეიმუშავა მუნიციპალიტეტის უმწეო მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები, სოციალური დაცვის პროგრამა გამგეობის მიერ საკრებულოს გადაწყვეტილებით დაფინანსდა 260 ათასი ლარით, რითაც დაფინანსდა სხვადასხვა სახის დახმარებები. ხოლო ჯანდაცვის პროგრამა 41500 ლარით. ვთვლი, ზემოთ მითითებული პროგრამები საკმაოდ წარმატებულია, რადგან ამ პროგრამით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეული კატეგორია რომლებისთვისაც აღნიშნული

>>>>> 6

5<<<<<

დახმარებები ძალიან მნიშვნელოვანია.

***რას გვეტყვით „ოჯახის ექიმის" ინსტიტუტზე, რაში მდგომარეობს მისი არსი, რა მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

–ჯანდაცვის რეფორმა, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობის მიერ ეტაპობრივად ხორციელდება, სადაც ძველი სისტემის ახლით ჩანაცვლება ხდება. ერთ-ერთი ოჯახის ექიმის ინსტიტუტია, რომელიც სამეგრელოში ჯერ არ ფუნქციონირებს. ყველა უბნის ექიმმა უნდა გაიაროს 6 თვიანი გადამზადება და შემდეგ უნდა აიღონ სერთიფიკატი. რომლითაც ენიჭებათ საქმიანობის უფლება. მუნიციპალიტეტის ამბულატორიებში მომუშავე თითქმის ყველა ექიმმა გაიარა, გადამზადების კურსი, გარდა რამოდენიმესი, რომლებიც უახლოეს პერიოდში გაივლიან მას. ტრენინგები ტარდება უფასოდ, ხელფასის შენარჩუნებით, აღნიშნულ პროგრამას აფინანსებს, მსოფლიო ბანკი. ოჯახის ექიმი ადგილზე გაუწევს ყველანაირ დახმარებას მის სამოქმედო ტერიტარიაზე მცხოვრებ ბენეფიციარს. რა დახმარებაც შეიძლება მისი კომპეტენციით, სოფლის ამბულატორიის პირობებში. მათ შორის, პრევენციული, სამკურნალო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურეობა.

***ძალიან ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს კორპორაციული ხელშეკრულების გაფორმებას სადაზღვევი კომპანიებთან, ანუ ასეთი კატეგორიის ადამიანებისათვის თუ არსებობს რაიმე პროგრამა?***

–მუნიციპალიტეტში სადაზღვევო პაკეტით სარგებლობს უმწეო ოჯახებში რეგისტრირებული ბენეფიციარები, პედაგოგები, სახანძროს თანამშრომლები, პოლიციის თანამშრომლები, ფოსტის თანამშრომლები, რკინიგზელები, ხოლო კორპორაციული დაზღვევით სარგებლობენ ანუ საკუთარი ხელფასიდან იხდიან სადაზღვევო გადასახადს გამგეობის და საკრებულოს და სასწრაფო დახმარება 03-ის თანამშრომლები, ვისაც სურვილი ქონდათ ასეთი სახის დაზღვევის. არის კატეგორია, რომელიც თვითონ ინდივიდუალურად აკეთებს გარიგებას მისთვის სასურველ კომპანიასთან, მაგრამ კომპანიის მიერ წაყენებული მოთხოვნების ფარგლებში. ასეთი ძალიან მცირეა, რადგან კომპანიები არ აზღვევენ უკვე არსებულ ავადმყოფობაზე ანუ უნდა დაეზღვიოს პრაქტიკულად ჯანმრთელი, რომ შემდგომში წარმოშობილ ავადმყოფობაზე მიიღოს დახმარება.

რეფორმით გათვალისწინებულია მთლიანად მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა, რომელიც თანდათანობით განხორცირელდება.

***ჩვენმა მოსახლეობამ ჯანდაცვის სფერო გამოაცხადა პრიორიტეტულ დარგად, რა ახალ პროგრესებს უნდა ველოდოთ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

– დღეს მუნიციპალიტეტში არცერთი სოფელი არ არის დარჩენილი საექიმო და ექიმამდელი დახმარების გარეშე. იქ სადაც სახელმწიფო პროგრამებით 2000–3000 მოსახლეზე ერთი მედდის მომსახურებით შემოიფარგლება და გაერთიანებულია მიმდებარე პატარა სოფლები, დამატებით მუნიციპალური პროგრამით ასეთ სოფლებში დაფინანსდა საექიმო და ექიმამდელი დახმარება.

ახალი პროგრამა ჯანდაცვის კუთხით წელს მუნიციპალიტეტში ის იქნება, რომ გვექნება „ასი ახალი საავადმყოფოს" პროგრამით ევრო სტანდარტებით აშენებული და მაღალ ტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი სტაციონალურ პოლიკლინიკური გაერთიანება, რომელსაც აშენებს საქართველო–ჩეხეთის ერთობლივი საწარმო „ბლოკ ჯორჯია"

რეკონსტრუქცია დამთავრებულია. მიმდინარეობს კეთილმოწყობითი სამუშაოები და ახალი სტაციონარი მალე შევა ექსპლოატაციაში.

***საუბარი დაასრულეთ ლამაზი ფრაზით.***

–„ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად, სიყვარულია ალბათ ის ღმერთი". ადამიანში ყოველთვის დადებითი ვეძებოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი და ცხოვრებაც მშვენიერი იქნება.

**ესაუბრა ნანა კემულარია**

# ქალს უხმობს საზოგადოება

**„ჯერ კიდევ წარმართული რელიგიური ტრადიციები ქმნიდნენ საფუძველს საქართველოში ქალის კულტისათვის. ამას გვაფიქრებინებს ბუნების დიდი დედის ნანას კულტი, დედა უფლის კულტი. მზის მდედრობითი ასპექტის კულტი".**

***(ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" თბ. 1991 წ.)***

მე-19 საუკუნის შუა ხანებისათვის, როცა მეფის რუსეთმა საღათას ძილი მოჰგვარა ქართველობას, მოადუნა მისი მაჯისცემა და ჩაკლა ღვთიური ნაპერწკალი, ფაქტიურად კაცისა და ქალის თანასწორობის ზემოთთქმული ლოზუნგი დაავიწყა ერს.

„ქვეყნის დაცემა მაშინ იწყება, როცა ქალის ეროვნული სახე იკარგება, ვინაიდან ქალია ქვეყნის მარილი, მისი ბარომეტრი და გვირგვინი", წერდა აკაკი წერეთელი. „მას შესწევს დიდი უნარი საზოგადოებრივ–პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობის მიღებისა. ეს უნარი მას კი არ უნდა შევუზღუდოთ, მოვუსპოთ, არამედ გავუძლიეროთ, გავუმახვილოთ "–აგრძელებდა იგი.

პრობლემა, რომელიც ქალთა დაბალ აქტიურობას ეხება. დღესაც აქტუალურია. ერთ-ერთი ახალი მოთხოვნა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, გახლავთ გენდერული პოლიტიკის გატარება, ქვეყნის



აყვავებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა არა მარტო განათლებული მამაკაცები, არამედ ქალებიც.

ჩვენ გვყავდა მებრძოლი წინაპარი ქალები, დიპლომატი წინაპარი ქალები, ქველმოქმედი წინაპარი ქალები, გუთნისდედა წინაპარი ქალები, წამებული და წმინდანად შერაცხული ქალები, უფაქიზესი და ულამაზესი ქალები, მამაკაცებს ჭირშიც და ლხინშიც გვერდით რომ ედგნენ–თან ხიბლავდნენ, თან ძალას მატებდნენ, თან ამშვენებდნენ, თან აქეზებდნენ და აფორიაქებდნენ, თან ძალას მატებდნენ და ეშველებოდნენ, თან სიყვარულით ათრობდნენ. დღეს, ცოტა არ იყოს შეიცვალა მდგომარეობა, რადგან, დღეს ქალი საზოგადოებაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი ოაზისია, ქალის შესაძლებლობები სრულყოფილად არაა გამოყენებული.

სიღარიბე, ოჯახი, ტრადიციები, საკუთარი თავის რწმენა, პირადი ურთიერთობების გამოვლენა, პირადი უსაფრთხოების დაკარგვის შიში–ეს ის ბარიერებია, რომელიც ხელს უშლის ქალის წინსვლას პოლიტიკაში. როგორც კი ქალი გაბედავს და თავისი ლიმიტირებული როლის გარღვევას ცდილობს, მას მიიჩნევენ როგორც „რთულ" პიროვნებას და მაშინვე საკუთარ პარტიაშივე მამაკაცების მხრიდან ნეგატიური რეაქცია ჩნდება.

თხუთმეტ წელზე მეტია, რაც საქართველომ, მოახდინა რა ადამიანის უფლებების კუთხით საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება, საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის გენდერული თანასწორობა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა ქსელებისა და ორგანიზაციების განვითარებას, მუშაობენ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებისათვის.

ქალის როლის გასააქტიურებლად, მისი პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა იქნა შემოთავაზებული კულტურულ–ჰუმანიტარული ფონდის „სოხუმი"-ს მიერ. ფონდის ხელმძღვანელობამ გამოიმუშავა გარკვეული სტრატეგიები, რომელიც ხელს უწყობს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას პოლიტიკაში. ამ მიზნით დასავლეთ საქართველოს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბებულ იქნა „ამომრჩეველ ქალთა კლუბები", რომელიც ხობის მუნიციპალიტეტშიც ფუნქციონირებს. კლუბის მუშაობაში მონაწილე ქალბატონებისთვის ტარდებოდა და ტარდება ტრენინგები იმ უნარ-ჩვევებზე, რომელიც სჭირდებოდათ როგორც ქალ ამომრჩევლებს, ასევე ქალ კანდიდატებს.

მსგავსი ტრენინგები და სწავლებები ხელს უწყობს ქალებში საკუთარი თავისადმი რწმენის გაზრდას, ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, მედიასთან ურთიერთობის მექანიზმების დაუფლებას. „ამომრჩეველ ქალთა კლუბის" მიერ ჩატარებული ტრენინგები ხელს უწყობდა არა მარტო ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის სტრატეგიების გაცნობას, არა მარტო პრაქტიკულ რჩევებს, რომლის გადალახვაც უწევთ ქალებს, არამედ იგი მიმართული იყო თვითონ პოლიტიკაში არსებული სტრუქტურული და კულტურული ბარიერების დაძლევისაკენ.

კლუბის მუშაობაში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის, სპეციალობის და სოციალური მდგომარეობის ქალბატონები. შეხვედრები მათთან ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია, ხშირია დებატები, აზრთა ურთიერთგაცვლა, კლუბის მუშაობა მიმდინარეობდა არა მარტო ცენტრში, არამედ შევძელით შესვლა ზოგიერთ სოფელში (ბია, ხიბულა, ნოჯიხევი), სადაც შეხვედრები გვქონდა ამომრჩეველ ქალბატონებთან, პირადად მათგან მოვისმინეთ ის პრობლემები, რომლის წინაშეც ისინი დგანან არჩევნების დროს, მათგან საინტერესო წინადადებები და აზრები მივიღეთ.

ქალთა კლუბის მუშაობაში ერთ-ერთ ეფექტური ფორმა იყო ფონდის მიერ შემოთავაზებული „ვორკ–შოპი"-ს ჩატარება, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო მასალა განვიხილეთ და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე აგებული (საარჩევნო) პროცესი ჩავატარეთ.

როგორც ცნობილია საქართველო შეუერთდა საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიას „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყანა და 2800-ზე მეტი ორგანიზაცია. ამის გამოძახილი იყო კლუბის აქტიურად ჩართვა აქციაში „16 აქტიური დღე ძალადობის წინააღმდეგ", მასში მონაწილე ქალბატონებმა დაგმეს ყოველგვარი ძალადობა, მოუწოდეს ერთმანეთს თანადგომისაკენ.

კლუბის სხდომებზე განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული სტატისტიკა, საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და ასე შემდეგ.

მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, მდგომარეობა ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი არ არის, პირიქით, თვითმართველობის ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ გენდერული დისბალანსი ნამდვილად არსებობს და ამ მხრივ ნამდვილად ბევრია გასაკეთებელი.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ყოველმა ქალმა ეძიოს თავისი თავი, თავისი ადგილი ცხოვრებაში. საჭიროა სტერეოტიპების მსხვრევა კაცთა, ქალთა და, უმთავრესად, საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ქალების გაბედულად წამოწევაა საჭირო, მათი დახმარება, მხარდაჭერა, თანადგომა, რადგან ძველი თქმულება ამბობს „სამი მთავარი ღირებულებაა ამქვეყნად:

პური არსობისა, რომელიც ცხოვრებისეულ ძალასა და ჯანის სიმრთელეს იძლევა.

სიბრძნე, წიგნებში დაუნჯებული და დროთა კავშირის დამამყარებელი.

და ქალი, რომელიც გაწყვეტის საშუალებას არ აძლევს სიცოცხლის ძაფს".

***მანანა შულაია,***
***ამომრჩეველ ქალთა კლუბის თავმჯდომარე ხობის მუნიციპალიტეტში.***

# რეფორმების კვალდაკვალ

**სკოლა ეს ის ადგილია, სადაც ადამიანის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი იწყება. როცა მშობელს თავისი შვილი სკოლაში პირველად მიჰყავს, იქაური მუშაობის თითოეულ დეტალს ყურადღებას აქცევს, მისთვის ერთ- ერთი აუცილებელი ფაქტორია თავისი პირმშო სად გარემოში სწავლობდეს, ამ გარემოს კი მასწავლებლებთან ერთად, დამეთანხმებით, სკოლის დირექტორი ქმნის.**

**მაია ალექსანდრია ახალი თაობის აღზრდის საქმეს უკვე წლებია ემსახურება, ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ის ქარიატის საჯარო სკოლის საკმაოდ წარმატებული დირექტორია. მასთან საუბარი საინტერესო აღმოჩნდა.**

***მაია, თქვენ საზოგადოების ნაწილი კარგად გიცნობთ, უმრავლესობისთვის თქვენი პიროვნება ჯერ კიდევ უცნობია, წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი?***

–დავამთავრე ხობის №1 საჯარო სკოლა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ისე წარიმართა, რომ დიპლომი თბილისში ავიღე... ეს ჩვენი თაობის, სოხუმის სტუდენტებისათვის ბრძოლის თუ არა, დიდი გამბედაობის შედეგი ნამდვილად იყო. მოხერხდა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მასწავლებელი გავხდი, ნოჯიხევის საჯარო სკოლით დავიწყე, შემდეგ ხობის პირველ სკოლაში გადმოვინაცვლე. ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე საუცხოო გარემოში მოვხვდი, ახალგაზრდებისათვის აქ მუშაობა მეორე უნივერსიტეტი იყო. თითქოს ჩემი ადგილიც ვიპოვე და საკუთარი თავიც, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ქარიატის საჯარო სკოლში დავიწყე მუშაობა. შეიძლება გარედან სხვანაირად ჩანდა მაგრამ ეს ნამდვილად არ ყოფილა უკან დახევა, ეს იყო ადგილი, საიდანაც გასაკეთებელიც ჩანდა და მისი რეალურად გადაწყვეტის საშუალებებიც და გზებიც. ყველაფერი, რა თქმა უნდა, რაღაც ტკივილის, წინააღმდეგობების ფასად, მაგრამ მაინც მარტივად, უბრალოდ, უხმაუროდ და ვიღაცის პატრონაჟის გარეშე მოხერხდა- წარმატებით ჩავაბარე დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდები, სკოლის სამეურვეო საბჭომ ამირჩია და გავხდი ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი. მაქვს პედაგოგიური მუშაობის 19 წლის სტაჟი.

***ის, ვინც თქვენ გიცნობთ, ვფიქრობ გადაჭარბებაში არ ჩამითვლის თუ ვიტყვი, რომ წარმატებული პიროვნება ბრძანდებით..***

–გმადლობთ! ეს სიტყვები ნამდვილად არ არის ის კომპლიმენტი, რომელზედაც პასუხად, როგორც წესი, დარცხვენით პასუხობენ: „უი რას ამბობთო!". პირადად მაინც სკოლის სიბრტყეზე გადავიტანდი თქვენს შეკითხვას. სკოლას კი ნამდვილად აქვს გარკვეული წარმატებები, რომლებითაც თავის მოწონება შეიძლება. ორ მაგალითს მოვიყვან: პირველი, ალბათ, სკოლის მიერ სახალხო განათლების პროექტების კონკურსში გამარჯვება, გრანტის აღება მისი სასკოლო პროცესში პილოტირება იყო. რაც შეეხება მეორე მაგალითს, ბოლო წარმატებაზე ვიტყვი–ხობის მუნიციპალიტეტის 7 გამარჯვებული საჯარო სკოლის მოსწავლეებიდან ერთ-ერთი ჩვენი სკოლის მოსწავლე სალომე ზარქუაა, რომელმაც შეძლო რესპუბლიკური ოლიმპიადის მე-III ტურში გადასვლა. იმედია აქაც წარმატებას მიაღწევს.

***როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხობის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის უფროსი და 13 სკოლის დირექტორი განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ბატონ შაშკინთან იმყოფებოდით, რას გვეტყოდით ამ შეხვედრის შესახებ?***

–ის ფაქტი, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ასეთი ინტენსიური დამოკიდებულება აქვს თავად სკოლებთან მათი დირექტორების სახით, ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია. სკოლის სატკივარი და მაჯისცემა ამ გზით უფრო კარგად მიდის იქ, სადაც შეიძლება პრობლემას ეშველოს, მოევლოს და სასიკეთოდ, სწორად გადაწყდეს. ნამდვილად არ ვიქნები პირველი იმის აღიარებაში, რომ დიალოგზე უკეთესი ხერხით პრობლემის გადაწყვეტისა კაცობრიობას ჯერ ვერ მოუფიქრებია. როცა მინისტრი პირისპირ, შენს წინ ფეხზე მდგარი, უბრალო ჟესტებითა და ხმის ტემბრით გელაპარაკება სიახლეებზე, რეფორმაზე, გადაწყვეტილებებზე, გამოსავლის პოვნაზე, მუხლჩაუხრელ შრომასა- და საქმის კეთებაზე, უფრო მეტ პასუხისმგებლობას, საქმიან თუ ადამიანურ ვალდებულებას გრძნობ და ერთიანად მეტად იხარჯები, ვიდრე მაშინ, როცა ვინმე პერსონა (რომლის მხოლოდ სახელი და გვარი გსმენია ან ტელევიზიით გინახავს) რაღაც დებულებას თუ ბრძანებას გიგზავნის შესასრულებლად.

***რას გვეტყოდით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, როგორ აღიქვამთ სიახლეებს?***

–თავიდანვე ხაზგასმით ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი: მეც და სხვა სკოლის დირექტორებიც, ჩვენზე ადრე კი რესურსცენტრი აქ ვართ იმიტომ, რომ გვჯერა იმ სიახლეების აუცილებლობის, რაც განათლების სისტემაში ხდება. მომწონს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და ყველაფერი მის შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა მორგებული: კარგია ის, რომ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური უნარ-ჩვევებია გათვალისწინებული და ერთი საერთო შტამპით არ ვუდგებით ყველაფერს. მიხარია, რომ ყველა პირველკლასელს საკუთარი კომპიუტერი ექნება მათთვის საინტერესო პროგრამებით:



მაია ალექსანდრია

არაჩვეულებრივია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებს უფასო წიგნებით სახელმწიფო უზრუნველყოფს; კარგია, რომ სასკოლო ბიბლიოთეკები მდიდრდება სახელმძღვანელოებით; კარგია, რომ უხარისხო წიგნებით არ მოუწევს მოსწავლეებს სწავლა თან ამ წიგნების ფასი 10 ლარზე მეტი არ იქნება; კარგია, რომ ქართველ ბავშვებს ინგლისური ეცოდინებათ; კარგია, რომ სასკოლო ლაბორატორიები საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა სკოლაში იქნება. ფუფუნებაა, როცა ქარიატელ ბავშვს სკოლაში უფასო 24 საათიანი ინტერნეტით სარგებლობის საშუალება აქვს.

ჩვენ, მასწავლებლები, ზოგადად სკოლის მუშაკები, ვისაც მოსწავლეებთან ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს, ვხედავთ, რომ რეფორმის პოზიტიური შედეგი უკვე წამოვიდა, ბავშვებს დაეტყოთ. ისინი უკვე სხვანაირები არიან. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ ეს უკვე ის თაობა მოდის, ვისაც სამომავლოდ (და არც თუ ისე შორეულში) კონკრეტულად ჩვენი ბედ-იღბალი, ზოგადად კი ქვეყნისა უნდა ვანდოთ და არ შეგვეშინდეს.

**ესაუბრა ნინო გერგაია**

# „მე ვარ ოჯახი!“

**„მე ვარ–ოჯახი, და როგორც სპექტრში
შვიდი სხვადასხვა მე
ცხოვრობს ჩემში“.**

ეს სტროფები არის ნაწყვეტი ანდრეი ვოზნესენსკის ლექსიდან. ამ ლექსში ჩვენთვის საინტერესოა პოეტური სახე: „მე–ოჯახი–ვარ,“ სადაც პოეტს მხედველობაში აქვს თავისი მრავალსახეობა, არაერთმნიშვნელოვნება. მართლაც, ოჯახში ხომ თითოეული ჩვენთაგანი უამრავჯერ გარდაისახება, ასრულებს რამდენიმე, თავისი არსით ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ როლს. ოჯახში თითოეული ჩვენთაგანი ერთდროულად შეიძლება იყოს შვილი,



შვილიშვილი, და ან ძმა, ცოლი ან ქმარი, რძალი, სიძე, დედამთილი, მამამთილი, ბებია ან ბაბუა და ასე შემდეგ.

უფლის დადგენილი კანონები და იერარქია არ ვრცელდება და დღესაც ისევე აქტუალური და აუცილებელია, როგორც თავდაპირველად. ოჯახური ბედნიერების საყრდენი სწორი ზნეობრივი ურთიერთობაა ქმარსა და ცოლს შორის, რაც ერთმანეთის სიყვარულსა და ერთგულებას გულისხმობს. ჩვენმა ხალხმა თავის შინაგან ბუნებასა და ცხოვრების ადათ–წესებში შემოინახა და ამრავლა კეთილი საწყისები, შექმნა კეთილშობილურ ოჯახურ დამოკიდებულებათა ნიმუშები.

რაც უფრო რთულდება ადამიანთა ყოფა, მით უფრო მტკიცე და ხანგრძლივი უნდა იყოს მეუღლეთა კავშირი, რადგან ხანგრძლივად ერთად ცხოვრების, ზრუნვისა და შრომის პირობებში შეიძლება ოჯახმა თავის შვილში სრულად აღადგინოს მთელი თავისი შინაგანი სამყარო, შთამომავლობაში უკვდავყოს თავისი თავი, უკვდავყოს არა მარტო სხეული, არამედ თავისი სული და იდეალებიც, მხოლოდ ოჯახურ პირობებშია შესაძლებელი შვილისთვის მორალური და ზნეობრივი პრინციპების გადაცემა.

საკუთარი ოჯახის საშუალებით ყოველი ჩვენთაგანი ფართოდ უკავშირდება იმ დიდ ოჯახს, რომელსაც ხალხი, ერი, მამული, სამშობლო ეწოდება. სიტყვა სამშობლო, მამული,–ოჯახი–ერთი გვარის მცნებებია, ერთნაირად გვაფრქვევენ სითბოსა და ნათელს, გვექმნებიან საყრდენად, შემწედ და მომავლის იმედად. სწორედ ერთი, გამორჩეულად ტრადიციული და ზნეობრივი ღირებულებების მქონე ოჯახია დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარი–ქალბატონი ადა თათარიშვილი და ბატონი დემურ ბუკია.

ქალბატონი ადა დაიბადა ქალაქ ხობში, სტუმართმოყვარე, ტრადიციულ და ინტელექტუალურ ოჯახში. ოჯახის მამა–ანტონ თათარიშვილი–რაიონში ცნობილი პიროვნება გახლდათ თავისი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით, პროფესიონალიზმით, ერუდიციით. ის წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. მისი უშუალო თაოსნობით დაარსებული იქნა სოფელ ნოჯიხევის №30 პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებელი, რომლის პირველი დირექტორი, 15 წლის განმავლობაში, თავად იყო.

დედა ალექსანდრა (საშა) ბერაია, იგივე „გერასიმოვნა“ მასწავლებელთა მასწავლებლად იყო მიჩნეული. იგი იყო მეტად გულისხმიერი, კეთილშობილი, ქველმოქმედი. ამასთანავე პრინციპული და სამართლიანი. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს დედ–მამას დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა ჰქონდათ, ოჯახი მათთვის მშვიდი ნავსაყუდარი იყო. სანამ დაქორწინდებოდნენ მათ თორმეტი წელი უყვარდათ ერთმანეთი და ეს სიყვარული ქორწინების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. ქალბატონი საშასთვის მეუღლის 59 წლის ასაკში მოულოდნელი გარდაცვალება დიდი ტრაგედია იყო. გარდა ამისა, მას, როცა ის 87 წლის იყო, მოულოდნელად დაეღუპა თავისი სიყრმის შვილი–ასევე ცნობადი სახე–№1 საშუალო სკოლის დირექტორი ლალა თათარიშვილი.

–ბავშვობა მეტად კარგი მქონდა, ლალი. ოჯახში ნაბოლარა ვიყავი და ცოტაზე მეტს მანებივრებდნენ. დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა, ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, ანალიზური ქიმიის სპეციალობით. უნივერსიტეტდამთავრებულმა მამის თხოვნით, მუშაობა დავიწყე ნოჯიხევის №30 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში ქიმიის მასწავლებლად, სადაც რვა წელი ვიმუშავე.

პირველ სექტემბერს, როცა სახლიდან გავდიოდი, როგორც პედაგოგი, მამა დამხვდა კარებთან და მითხრა, „თავი არ შეირცხვინო, ყოველთვის გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“. მამის ეს სიტყვები კრედოდ გასდევს მთელ ჩემს ცხოვრებას, ყოველთვის ჩამესმის მამის ეს სიტყვები და ვცდილობ, თავი არ შევირცხვინო, ვიცხოვრო ეკლესიურად, ტრადიციულად,–ამბობს ქალბატონი ადა.

1983 წლიდან დღემდე ქალბატონი ადა მუშაობს ხობის ამბულატორიული გაერთიანების კლინიკურ–დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგედ. მან სამჯერ გაიარა ექიმთა დახელოვნების აკადემიაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და მინიჭებული აქვს ექიმ–ლაბორანტის კვალიფიკაცია.

ბატონი დემურ ბუკია დაიბადა ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში. დედით ადრე დაობლდა. შემდეგ ახალგაზრდა ძმა გარდაეცვალა. მამა კაპიტონ ბუკია სულიერად არ დაცემულა, ვაჟკაცურად გაუძლო თავსდამტყდარ ტრაგედიებს. მეოთხე კლასში იყო დემური, როცა იგი უფროსმა დამ ნუცამ თავისთან წაიყვანა და როგორც საკუთარი შვილი, ისე გაზარდა.

დემურმა ახალსოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ლენინგრადის ეკონომიკურ ინსტიტუტში, მეორე კურსიდან კი გადმოვიდა საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წელს დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

მოკლე დოსიეს გაცნობის შემდეგ, ჩვენ ვესტუმრეთ ქალბატონ ადას „ჭიქა ჩაი“-ზე, სადაც ქალები ყველაზე გულახდილები არიან. ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია რაში მდგომარეობს მტკიცე, თბილი და სიყვარულით სავსე ოჯახის საიდუმლო.

***სად და როდის გაიცანით ერთმანეთი და იყო თუ არა ეს ერთი ნახვით შეყვარება?***

–პედაგოგად მუშაობის პერიოდში ვიყავი პროფესიული კავშირის თავმჯდომარე. 1980 წელს, საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას, რაიონულ კონფერენციაზე, შევამჩნიე ახალგაზრდა კაცის ჩემით დაინტერესება. იმავე დღეს მოვიდა და პირადად გამეცნო. ყოველგვარი ქარაგმების გარეშე გამოხატა მოწონება. მისმა საქციელმა ჩემშიც გარკვეული სიმპატიები გამოიწვია. ეს არ იყო „ერთი ნახვით შეყვარება“, მაგრამ იყო დაინტერესება, გარკვევა, შეხედულებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით იყო თუ არა თანხვედრილი. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გარკვევის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა ქორწილით დაგვირგვინდა. მოვიდა დიდი სიყვარული, რომელიც დღემდე გრძელდება. ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ შეხმატკბილებულად, ურთიერთგაგებით, ცხოვრების 31 წელი ერთად გავიარეთ, ბევრი სიხარული ვნახეთ.

***შვილები, როგორები არიან ისინი?***

–პირველი დიდი სიხარული, ქალიშვილის ნინოს შეძენამ მოგვიტანა. ქალიშვილს სახელი მამიდის პატივსაცემად დავარქვით, შემდეგ ვაჟიშვილი გაგვიჩნდა, რომელსაც მამის სახელი დემური, მე თვითონ დავარქვი.

ნინომ დაამთავრა ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე–გიგო (შოთა) ჯორჯიკია და ორი შვილი–გიორგი და მარიამი. ცხოვრობენ თბილისში.

დემიკომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი დაამთავრა. ჩვენთან ერთად ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე–თამთა (თამილა) კიტია და ორი ვაჟი–ლუკა და სანდრო. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თამთა არის საოცრად კარგი გოგონა, ნიჭიერი, ჭკვიანი, დიდი იუმორის მქონე.



***რაში მდგომარეობს ოჯახური ბედნიერების საიდუმლო?***

–ჩვენს ოჯახში სამი თაობის წარმომადგენლები ვცხოვრობთ. გვაქვს ერთმანეთის მიმართ ძალიან თბილი ურთიერთობები. შეგნებულად აღვიქვამთ თითოეულის ყოფით თუ სხვა სახის პრობლემას, რომელიც ზოგჯერ კი ოჯახის წევრებს აქვს. ჩემი აზრით, ყველა პრობლემა მოგვარებადია, თუ სათუთად მოვეპყრობით ერთმანეთს, გავითავისებთ ერთმანეთის წუხილს, სიხარულს. ოჯახური ბედნიერების საიდუმლო თითოეულ ჩვენთაგანშია, მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი, მოვუფრთხილდეთ და პატივისცემით მოვეპყრათ ურთიერთს. ოჯახში შემოსული ახალი წევრი (რძალი, სიძე), შევიყვაროთ ისე, როგორც საკუთარი შვილები, მათ უნდა ვაგრძნობინოთ ისეთი სითბო და სიხარული, როგორსაც საკუთარ შვილებს ვჩუქნით.

***როგორია თქვენი ოჯახის ფორმულა შვილების აღზრდისას?***

–შვილების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ გარემოს. შვილები ჩვენი ოჯახის სარკეა, მათ ყოველთვის ვუნერგავდით ერთმანეთის სიყვარულს, მიმტევებლობას, კაცთმოყვარეობას, კეთილშობილებას. ყოველთვის ვუმეორებდით ყოფილიყვნენ პატიოსანნი, მართალნი. ალბათ ეს იყო ჩვენი შვილების აღზრდის ფორმულა.

***კომპრომისზე წასვლა ნიშნავს თუ არა „შემეშალა, მაპატიეს“?***

–შეცდომისას „მაპატიე“ უთხრა ვინმეს, მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნია. ყველანი ძე ცდომილები ვართ და ვუშვებთ შეცდომებს, რისთვისაც ბოდიში უნდა მოვიხადოთ. ბოდიშის მოხდა სულაც არ ნიშნავს თავის დამცირებას.

***ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს თუ არა ოჯახის სიმტკიცეს?***

–მიმაჩნია, რომ ფინანსური მდგომარეობა ოჯახური სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის. მეგულება მატერიალურად ძლიერი ოჯახები, მაგრამ მათ აკლიათ ერთმანეთის სიყვარული და არა აქვთ ბედნიერი ცხოვრება. უმთავრესია, წყვილებს უყვარდეთ ერთმანეთი, მათ ეს სიყვარული ბევრ ცხოვრებისეულ სიძნელეებს დააძლევინებთ.

***მეუღლის ღალატი, როგორი აღსაქმელია თქვენთვის?***

–როცა მეუღლეებს ერთმანეთის ესმით, ცხოვრობენ ერთი მიზნით, ურთიერთსიყვარულით, იქ ღალატზე ლაპარაკიც ზედმეტია. და, თუ როგორი აღსაქმელი მექნებოდა მეუღლის ღალატი, გიპასუხებთ,–ალბათ ჩემს თავს დავუსვამდი შეკითხვას, თუ რა შემეშალა მასთან ურთიერთობაში, რატომ ვერ ვაგრძნობინე მას ის დიდი გრძნობა, რომლითაც ოჯახი მყარად დგას. ისევ და ისევ ჩემს თავს გავკიცხავდი და ტაქტიანად შევეცდებოდი სიტუაციის გარკვევას. ყოველ შემთხვევაში არავითარი პანიკა და აურზაური, ისტერიკა. ასეთი ქცევით შვილებიც დაკომპლექსდებოდნენ.

***ხშირად უკეთებთ ერთმანეთს საჩუქრებს?***

–დაბადების დღეებზე ერთმანეთს სუნამოებს ვჩუქნით, ყველაზე დიდი საჩუქარი თავად ვართ ერთმანეთისთვის.

***მიმართეთ დღეს თქვენს მეუღლეს სიტყვებით...***

–მივმართავ, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

***რას უსურვებთ ახალგაზრდებს?***

–ჩემო საყვარელო ახალგაზრდებო! სანამ ოჯახს შექმნით, დაფიქრდით, ერთმანეთი კარგად შეიცანით, შეიყვარეთ, იყავით ერთმანეთის ერთგულნი.

და ბოლოს, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა მანდილოსანს მივულოცავ დედისა და ქალთა დღეს, ვუსურვებ ყველას გაზაფხულივით ლამაზ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ოჯახის დედაბოძად დიდხანს ყოფნას.

* * *

**ჩვენი საუბარი დასრულდა. გონება გავადევნე ერთი ლამაზი ოჯახის ისტორიას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მათი გვარის ცოტათი მაინც წინ წაწევა სრულყოფილებისაკენ, ადამიანის იდეალისაკენ, ამიტომაც თვლის სახელწიფო ოჯახს მარადიულ ღირებულებად. ის იარსებებს უკუნითი უკუნისამდე.**

**ღმერთო, ამრავლე და განაძლიერე ასეთი ქართული ოჯახები.**

**მანანა შულაია**



## მთავრობის ინიციატივა და მოწოდება თანადგომისათვის

თებერვლიდან ხობის მუნიციპალიტეტში დაიწყო ელექტროენერგიის ვაუჩერის გაცემა. პარალელურად ვაუჩერის ნებისმიერ მფლობელს შეუძლია დაეხმაროს სოციალურად შეჭირვებულ თანამემამულეს. 22 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ ბაბუცა გვასალიას მრავალშვილიან და სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს გადასცა პირადი ელექტროენერგიის ვაუჩერი და მოუწოდა ყველას, ვისაც ნაკლებად უჭირს, ვიდრე ეს სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი ოჯახებია, მთავრობის ინიციატივაში შეიტანონ საკუთარი მოკრძალებული წვლილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მრავალშვილიან ოჯახს, რომლის ერთ-ერთი წევრი მძიმე ავადმყოფია, სურსათი, ხოლო ბავშვებს საჩუქრები გადასცა.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა თუნდაც მცირედით მაინც შეუმსუბუქოს გაძვირებული ცხოვრების სიმძიმე ჩვენს ხალხს.

საქართველოს პრეზიდენტის ეს მოწოდება ყველამ უნდა გავითავისოთ.

## საგაზაფხულო გეგმიური გაწვევის პირველი ეტაპი დაიწყო

18 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის სამხედრო- სარეზერვო სამსახურმა განახორციელა 2011 წლის სავალდებულო საგაზაფხულო გეგმიური გაწვევის პირველი ეტაპი. წვევამდელები სპეციალური სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაივლიან წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით გათვალისწინებულ ერთწლიან სწავლებას და იმსახურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ განყოფილებებში. პარალელურად ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო –სარეზერვო სამსახურში გაწვევა. ხობელი რეზერვისტების ერთმა ნაწილმა წარმატებით გაიარა სპეციალური სწავლების პროგრამა.

გეგმიური გაწვევები გრძელდება.

## ხობის მუნიციპალიტეტში იწყება ახალი პროექტის განხორციელება „ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება მზის ენერგიის გამოყენებისათვის“

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას და გამგებლის მოადგილეს ქალბატონ რალა ჩემიას სამუშაო ვიზიტით შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“ თავის პარტნიორ ორგანიზაციასთან WECF_(ევროპის ქალები საერთო მომავლისათვის). ხობის მუნიციპალიტეტი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას „ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება მზის ენერგიის გამოყენებისათვის“, სადაც ლაპარაკი იყო პროექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო თემებში მზის წყლის გამაცხელებლების, მზის სახლის გამათბობლების და ნაგებობათა თბოიზოლაციის სისტემების მონტაჟს და ადგილობრივი ჯგუფების ტრეინინგს ამ მიმართულებებით. მცირე ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერას. პროექტის ფარგლებში ხობში უკვე ჩამოყალიბებული „წყლის, ეკოსანიტარიის და განახლებადი ენერგიის“ რესურს ცენტრის ბაზაზე ჩატარდება 3 საერთაშორისო სემინარი და ერთი საერთაშორისო კონფერენცია ხობში, ამასთან, პროექტით ნავარაუდევია ალტერნატიური ფინანსური სქემის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას ლიზინგის წესით შეიძინოს ზემოთ ჩამოთვლილი დანადგარები, რომელიც ადგილზე იქნება დამზადებული.

## 3 მარტი — გილოცავთ! — 8 მარტი



# სიყვარული არ მოგვაკლოთ უფალმა!



სამი მარტი დედის დღეა, რვა მარტი კი ქალთა საერთაშორისო დღე. მინდა ყველა ქალს, დედას მივულოცო ეს ბრწყინვალე დღესასწაულები. ღმერთმა ქალური ბედნიერება და სიყვარული არ მოგაკლოთ. თქვენ ცხოვრებას გვილამაზებთ, სიყვარულით გვავსებთ და, რაც მთავარია, ჩვენს საქართველოს მომავალ თაობას უზრდით.

ქვეყნად დედაზე კარგი შვილისთვის არაფერია. ის მზადაა თავი გასწიროს, ცეცხლის ალში გაეხვიოს, ოღონდ პირმშო გადაარჩინოს. დედის გული თბილი და მგრძნობიარეა, ის წინასწარ ხვდება შვილის გასაჭირს, ყოველთვის მასზე ფიქრობს, სიკვდილის წინაც შვილს არ ივიწყებს.

დედა ქვეყანაზე ისეთი არსებაა, რომ მისი მსგავსი შემოქმედს სხვა არ შეუქმნია. დედის გული ისეთია, რაც არ უნდა იყოს შვილზე ნაწყენი და დატანჯული, მაინც ვერ გაიმეტებს გასაწირად და მთელ ცხოვრებას მას ანაცვალებს. დედის სიყვარული ის წმინდათაწმინდა გრძნობაა, ურომლისოდაც ძე ხორციელი არ არსებობს, ან კი ექნებოდა აზრი მის არსებობას?.. არ მეეჭვება, ყვავილი, რომ ყვავილია, მიწის მკერდიდან ისიც დედური სიყვარულის ძახილს ამოჰყავს. აქედან გამომდინარე, თითოეული ვაჟკაცის მოვალეობა, რაც არ უნდა გვიჭირდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი დედების დაცვა, „დედა“ ხომ წმინდა სახელია, ეს ხომ ჩვენი ცხოვრების, როგორც გამარჯვების, თავდაცვის სიმბოლოა, და ამიტომაც უნდა დავაფასოთ დედის ღვაწლი.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი გენიის შესაფერისი მხატვრული გვირგვინი დაადგა ქართველი ქალებს და მათ „ქართლის დედები“ დაარქვა. თითქოს შეკრიბა, შეახამა და შეკრა თავის წინაპარ თუ თანამედროვე პოეტთა ნათქვამი და ქართულ ენაში ერთბაშად დააკანონა გამოთქმა „ქართლის დედა“. ამით მან სამუდამოდ აამაღლა ქალის ღირსება და პატივისცემა.

მინდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ქალს, დედას მივულოცო გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები. მხნეობა, ქალური სითბო და სიყვარული არ მოაკლოს მათ უფალმა.

**ლაშა ცატავა,**

## „მომენატრებით...“

არის მოვლენები, რომლებიც ჩვენს მეხსიერებას დიდხანს შემორჩებიან. გინდა თუ არ გინდა, უნებურად ფიქრობ მასზე, მაშინ ამოტივტივდებიან ჩვენი მეხსიერების ფსკერიდან, როცა სულ არ ელი და აგეკვიატებიან.

„ეს ძია ვანოს ეზოა. ეზოში სახლი დგას, სახლის წინ თივის ზვინია, ზვინთან ძაღლი აბია.“ პირველ კლასში ნასწავლი ეს ტექსტი ჩემი მეხსიერების ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც მასწავლებელთან ასოცირდება, გადის დრო და შემდეგ ამ მასწავლებლის კოლეგა ვხდები და მას ისე მოწიწებით და სათნოებით შევცქერი, როგორც მაშინ, პირველ კლასში ყოფნისას.

არიან ადამიანები, რომელთაც ახალი თაობა აღიქვამს, როგორც მისაბაძსა და სამაგალითოს. მათ თავიანთი ცხოვრება ისე გაუვლიათ, რომ ერთხელაც არ შერცხვენიათ, არც უკან მოხედვისა და არც ვინმეს თვალებში ჩახედვისა.

არიან ადამიანები, მთელი ცხოვრება პატიოსნად რომ გაუვლიათ, გაჭირვებულისათვის ხელი შეუშველებიათ, წაქცეული აუყენებიათ და გზასაცდენილი მოუბრუნებიათ.

დიახ, არიან ასეთი პიროვნებები.

ბიელი ქალბატონი თინა ღვინჯილია, სწორედ ასეთი ადამიანი გახლავთ. ქალაქ გაგრის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა პირველი პედაგოგიური ნათლობა სოფელ ახალი ხუბულის საშუალო სკოლაში მიიღო. მუშაობა არ გასჭირვებია, რადგან მის ოჯახში სამი პედაგოგი იყო. ძმა ბატონი ჟორჟი (გიორგი) ღვინჯილია, რძალი–ვერა ჩაგუნავა. თინას დედამ, ქალბატონმა ნასტიამ, რომელსაც ქმარი ომში დაეღუპა კარგად იცოდა სწავლის ფასი, ამიტომაც ყველაფერი გააკეთა, წელზე ფეხს იდგამდა, რათა შვილებისათვის განათლება მიეცა.

ამბობენ, ადამიანები პედაგოგებად იბადებიანო. იმთავითვე დაჰყვებათ ის ძვირფასი, მაღალადამიანური და პედაგოგიური მონაცემები, რომლებიც ასე გამოარჩევს მათ და საზოგადებაში საპატიო ადგილს მიუჩენს. ქალბატონმა თინამ ეს ადგილი უკვე დაიმკვიდრა. უანგარო რუდუნებით შრომა, გულმოდგინება, ძიება, ბავშვებისა და პროფესიის უსაზღვრო სიყვარული, ის თვისებებია, რომელიც მას გააჩნდა. მან იმდენი სიკეთის დათესვა მოასწრო, ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, რომელიც მხოლოდ მას შეეძლო.

ქალბატონი თინა ყოველთვის ყველაზე ადრე მუდამ მოწესრიგებული, მუდამ სამუშაო განწყობით მოდიოდა სკოლაში და როგორც იტყოდნენ ხოლმე, „პირველ ზარს“ რეკავდა, სხვების მოსვლამდე თვითონ იყო მორიგე მასწავლებელი, ხოლო ცუდ ამინდში პატარები თავს მის თბილ ოთახში იყრიდნენ, განურჩევლად იმისა, იყვნენ თუ არა მისი მოსწავლეები.

რამდენჯერ დავსწრებივარ ქალბატონ თინას გაკვეთილებს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სიახლეების დანერგვით. მიმდინარე რეფორმებსაც კარგად აუწყო ფეხი, ატარებდა თანამედროვე გაკვეთილებს, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა დროს. მისი მოსწავლეები საფუძვლიანად ფლობდნენ პროგრამულ მასალას, გამომუშავებული ჰქონდათ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევები.

...და მაინც, იგი უპირველეს ყოვლისა იყო აღმზრდელი, რომელიც შრომის, მოყვასის სიყვარულის, ურთიერთგატანის, თანადგომის, სიკეთის მადლის ძალას უნერგავდა თაობებს. „ჩვენ გვიყვარს ჩვენი თინა მასწავლებელი“,–დღესაც ამბობენ მისი ყოფილი მოსწავლეები მასზე.

54 წელი გავიდა, რაც ქალბატონმა თინამ სკოლის კარები შეაღო როგორც მასწავლებელმა, ბევრი იშრომა და ილვაწა, თითქოს დაიღალა კიდეც, ხუმრობა ხომ არ არის 54 წელი. გული მაინც ახალგაზრდული აქვს, თითქოსდა მხრებზე არ დასწოლოდეს ამ დღეთა სიმძიმე. ასაკმა მაინც თავისი ქნა, მიხვდა ამას, დაფაზე ცარცით მიაწერა „მომენატრებით“ და ჩუმად, უპერეტენზიოდ გავიდა საკლასო ოთახიდან.

ქალბატონო თინა, თინა მასწავლებელო! გილოცავთ დედის დღეს, ქალთა დღეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ყველა ნატვრის ასრულებას. მორიდებით გეტყვით–მენატრებით...

**მანანა შულაია**

## გაზაფხულს გილოცავ, დედი!

გაზაფხული სიცოცხლის აღორძინებისა და გამრავლების ჟამია, როცა ის მოდის ზამთარი დაძაბუნებული, დაღლილი თანდათანობით აიკრავს გუდა-ნაბადს და მთისკენ მიიპარება. გამთბარი მზე და გაღვიძებული ბუნება ესალმება გაზაფხულის მობრძანებას და ჰაერს სულ სხვა სურნელი ეძალება. სუსხი თითქოს უძლური ხდება, ირგვლივ მიმოიფანტებიან მინდვრის ყვავილები,—ენძელები, ფურისულები... ადამიანების განწყობაც იცვლება, უფრო მეტი ხალისი გვემატება და ვგრძნობთ ახალი ძალის მოზღვავებას.

წელიწადის ამ განსაკუთრებულ დროს ემთხვევა დედის დღისა და 8 მარტის დღესასწაულები. ორივე დღესასწაული ქალს უკავშირდება. ქალი კი სიცოცხლის საწყისის სიმბოლოა.

ძვირფასო დედა, ჩემო კარგო ადამიანო, მინდა მოგილოცო გაზაფხულის მობრძანება. შენ ჩემთვის განსაკუთრებული ხარ. შენს ყოველდღიურ საფიქრალს ჩემს მომავალზე ზრუნვა და დარდიც ემატება.

მინდა შემოგფიცო: „დედი, შენ ხარ ჩემი სალოცავი, შენი ლოცვა თან დამდევს, თითქოს მეჩურჩულება: იყავი ძლიერი და სამართლიანი, დააფასე ადამიანები. გაახარე მშობლები“ გპირდები, ვიქნები ქვეყნისა და ერის მსახური, უღალატო მეგობარი და ღვთის მოყვარული.

მიყვარხარ ძალიან, იცოცხლე დიდხანს და შეეგებე მრავალ გაზაფხულს შენს ოჯახთან და ახლობელ ადამიანებთან ერთად.

*ცოტნე გუჩუა.*

# გწამდეთ, ყველაფერი კარგად იქნება!

„გაზაფხული შემოსულა ლენ, რიარია გაუმართავთ ჩიტებს...“ გილოცავთ ქალბატონებო, დედებო მარტის ლამაზ დღესასწაულებს...

ცოტაც და... უფრო ძალუმად შეიგრძნობთ მარტის განსაკუთრებულ სურნელებას, ჩიტების გამეტებულ ჟრიამულს, ბევრს ეს თვე სიხარულს მოგვრის, ბევრს ალბათ, დარდს, მწუხარებას...

მარტი ყველა ქალის დღესასწაულია, ათეული წელია ზეიმობს მთელი ქვეყანა ამ დღეებს, სამსა და რვა მარტს. ეს ხომ თითოეული თქვენთაგანის ზეიმია და უფლება არა გვაქვს, გამოვარჩიოთ ვინმე ფერის, რასის, რწმენის, სწავლა–განათლებისა თუ რანგის მიხედვით. მთავარია, შენ ხარ ქალი, დედა, ბებია, და, დეიდა, მამიდა სიდედრი თუ დედამთილი...

მინდა ამ პატარა წერილით მოვეფერო იმ ქალბატონებს, რომლებსაც უახლოეს წარსულში მშვენიერი სამსახურები, მაგრამ ბევრ მათგანს დრომ და მდგომარეობამ სხვა ამპლუაში ყოფნა მოუტანა, თუმცა მათ არსებობისათვის ბრძოლას თავი არ დაანებეს, პირიქით, ამაყად დადგნენ იქ, სადაც ქალაქს სჭირდებოდა და თავადაც...

ბრძენს უთქვამს: „სიბერემდე სიქაჩლეო“... ვინ იცის ბედი რას უმზადებს ადამიანს, ამიტომაც ყველანი მზად უნდა ვიყოთ ახალი ცხოვრებისათვის...

როცა ცხოვრება მეტ-ნაკლებად გაუსაძლისი გაუხდათ, შრომისმოყვარე ქალებს სამუშაო დასჭირდათ, გაიგეს ვაკანსიების შესახებ და შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათების“ სამსახურს მიაკითხეს. შემოთავაზებული საქმე არ ითაკილეს და მუშაობას შეუდგნენ...

ჩვენი ქალაქი ამ ბოლო წლებში ძალიან დამშვენდა და გალამაზდა... დასუფთავების სამსახური კი ყველაფერს აკეთებს საამისოდ, რომ ქალაქი სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდეს. ვინც ამ საქმეს აკეთებს და ქალაქს შნოსა და ლაზათს მატებს, დასაფასებელია, მათი გარჯა თანადგომას ითხოვს, ამიტომაც თითოეულს ქუჩაში ფეხით თუ მანქანით მოსიარულეს, უნდა ჰქონდეს გათავისებული, რომ ნაგავს აქეთ-იქეთ ნუ მოისვრიან. იქვე ურნაა და იქ ჩააგდონ, რომ სხვის შრომას პატივი უნდა მიაგონ!

ქალისა და დედის ლამაზი დღესასწაულის დღეს მინდა მოვეფერო თითოეულ ქალს, დედას, ბებიას, დას... და მათ შორის იმ სამსახურის ქალებს, რომლებმაც ქალაქის სისუფთავე ითავეს.

***ანინა არჩაია:–*** უთქვამთ, „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“, ყველა ადამიანს თავისი პრობლემა და საჭიროება აქვს. ოჯახს, შვილებს მოვლა სჭირდებათ. კაპიკები არაფერს შველის, მით უფრო ყველაფრის ფასმა კატასტროფულად იმატა. შრომისმოყვარე ქალი ვარ. ჯანიც მაქვს და ღონეც. სირთულეებს უნდა გავუძლო და გადავწყვიტე დროებით დასუფთავების სამსახურში მემუშავნა. ცხოვრებას უნდა მიყვე და უნდა გწამდეს, თუ ხელს გაანძრევ, გადარჩები, ჩემი საქმე არ მეჩოთირება...

ქალებო, დღესასწაულებს გილოცავთ.

***ლეილა ლატარია***–იყო დრო, ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვიყავი. უმუშევრობა ძალზე ცუდია, მით უფრო, როცა ეკონომიურადაც გიჭირს. ცხოვრებამ ბევრი პრობლემის წინაშე დამაყენა, ჩემი მეუღლის, საყვარელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ბევრი რამ ვანაცვალეთ. ჩვენთვის მთავარი მისი გადარჩენა იყო.

რასაც ახლა ვაკეთებ, სადაც ვსაქმიანობ, ვიცი საძრახისი საქმე არ გახლავთ, ცოტა არ იყოს მეუხერხულება, მაგრამ რას იზამ, ცხოვრებას უნდა გაუძლო, თანაც ქალაქის სისუფთავის დაცვა ყველა ადამიანს ევალება. მით უფრო მე, რადგანაც ამ საქმეს ვემსახურები, მჯერა, ყველა საქმე დასაფასებელია.

მინდა დედისა და ქალის დღე ყველას მივულოცო.

***მანანა ბუკია:–***ცხოვრება ძალიან ჭირს, მით უფრო ჩემთვის, როცა მეუღლე ჩემს გვერდით არ დგას. მარტოდმარტო ვზრდი შვილს, წლებია უმწეოთა დახმარებით ვსარგებლობ. თუმცა ოჯახის სარჩენად ეს რასაკვირველია საკმარისი არ არის, ამიტომაც გადავწყვიტე, დასუფთავების სამსახურისთვის მიმემართა და მეეზოვის ადგილი მეთხოვა. მეექვსე წელია ამ საქმეს ვემსახურები. ვგრძნობ ჩემი შრომით უკმაყოფილო არავინაა. საქმეს შემლებისდაგვარად ვაკეთებ და ქალაქის გალამაზებას ვემსახურები. მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა მომელოცა მარტის დღესასწაულები.

***ელზა გერგაია***–ოჯახური მდგომარეობა ძალიან ცუდი მქონდა. გურიფულში ვცხოვრობდი. მეუღლის ავადმყოფობის გამო იძულებული ვიყავი სახლიდან წამოვსულვიყავი და სხვის სახლში მეცხოვრა. ორი შვილით უმუშევრად ყოფნა, კატასტროფა იყო. საუბედუროდ, სამსახურები თითქმის არსად არ ფუნქციონირებს, და გადავწყვიტე მეშრომა – მეეზოვედ. თავს მოვალედ ვთვლი, კარგად ვიშრომო და ქალაქისათვის ცოტა რამ მაინც გავაკეთო. უპირველესად შვილები და თავი ვირჩინო.

მადლობა, რომ ჩემით დაინტერესდით.

***ზინა გვაძაბია***–ვდგავარ იქ, სადაც დღეს სამსახური მერგო. ერთ მწერალს უთქვამს: „ცხოვრებას უნდა მოერგოო“ და ამ უმუშევრობისა და გაუსაძლისი ცხოვრების ჟამს ვცდილობ, ოჯახს ხელი შევაშველო. დროს მოვერგო. დღეს თითოეული ლარი ფასობს. ისიც ვიცი, რომ არც ერთ დროში არცერთი საქმე არ იყო და არ არის სათაკილო. ჩემი საქმიანობა იქნებ სულაც არ მსიამოვნებს, მაგრამ რას იზამ, თავს და ოჯახს რჩენა უნდა. ლარებით იწყება ყველა დიდი საქმე. იქ, სადაც ვმუშაობ, მაფასებენ. მეც კმაყოფილი ვარ, რომ ხელფასს ვიღებ. ქალბატონებო, გილოცავთ დედის და ქალის დღეს.

ჩემო კეთილო ქალბატონებო, მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ მარტის მშვენიერი დღესასწაულები. თქვენ, შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათების“ სამსახურის ქალბატონებს ინგა ჭითავას, ლიანა ჭაჭიას, მადონა ლატარიას, ლეილა ლატარიას, ზინა გვაძაბიას, ანინა არჩაიას, ნუნუ გაბისონიას, ნუნუ ქარჩავას, ნანული ტყებუჩავას, მანანა ბუკიას... იცოდეთ, ყველა დღე თქვენია, თქვენ გეკუთვნით, მთავარია–ჯანმრთელობა გქონდეთ. მინდა სულის მხნეობა გისურვოთ. ადამიანისთვის მთავარია მხნეობა, გამძლეობა და რწმენა.

გწამდეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

**ნანი კილასონია**

## შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სტიქიისაგან მიყენებული ზარალის დამდგენი კომისია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, მიმდინარე წლის 25-26-27 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტში სტიქიის (ქარი) შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის დადგენისა და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სტიქიისაგან მიყენებული ზარალის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**გიორგი გაწერელია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე–კომისიის თავმჯდომარე;

**იური ბუკია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

**ანტონ ვარდია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი–კომისიის წევრი;

**ვახტანგ ქანდარია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობის, სივრცით ტერიტორიული მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი–კომისიის წევრი;

**გიგო დანელია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობის, სივრცით ტერიტორიული მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი–კომისიის წევრი;

**გიორგი იოსავა**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობის, სივრცით ტერიტორიული მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი–კომისიის წევრი;

**გოჩა ქაჯაია**–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე–კომისიის წევრი;

მოწვევით–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრები და გამგეობის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები.

კომისიას დაევალა ადგილზე შეისწავლოს სტიქიისგან მიყენებული ზარალის შედეგები და წარმოადგინოს წინადადებები განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

## ბავშვთა ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მასზე რეაგირება აქტუალურია

28 თებერვალს აიპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში" მოეწყო შეხვედრა, გაერთიანების სპეციალისტებთან, პედაგოგებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლის მიზანი იყო ოჯახში და მის გარეთ ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, მასზე რეაგირება და ზრუნვა უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

შეხვედრაზე გაერთიანების დირექტორმა (მ. წულეისკირი), იურისტმა, (ეკა ჭოჭუა) სტრუქტურული ერთეულების მთავარ სპეციალისტებს გააცნეს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკი-



ცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება და „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2010 წლის 27 ნოემბრის 01/273–ო ბრძანება. მუხლობრივად მიმოიხილეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და განმარტება მისცეს იმის თაობაზე, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება არის ერთ-ერთი სუბიექტი, რომელიც ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცესშია ჩართული და რომელმაც ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენის შემდეგ უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ინტერვიუ

*არიან ადამიანები, რომლებზეც წერილის წერა ძალიან რთული და პასუხსაგებია, რადგან შეიძლება შენი კალმით ზედმეტად შეეხო და შეარხიო ის სიმები, რომელიც ძალზე აშფოთებს ადამიანის სულს, უფორიაქებს გრძნობებს და აახლებს იმ ღრმა ჭრილობებს, რომელიც არასოდეს არ ხორცდება, შეიძლება განაახლო ის მოგონებები, რომელიც მისი სამუდამო კუთვნილებაა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაფლულს, მისთვის გულის სიღრმეში აქვს მიჩენილი ადგილი. ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე, რადგან მიჩქმალული და გაფერმკრთალებული არ შეიძლება იყოს ის „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების".*

*სადაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს, რომელ საზოგადოებაშიც კი არ უნდა იყოს, მისი თვალები ყოველთვის უზომო მწუხარებაზე მეტყველებს, მკაცრი და შეუვალი ქალბატონისთვის, რომელიც თავის გრძნობებს მუდამ მალავს, საკმარისია შენს პრობლემებზე დაუწყო ლაპარაკი, თვალები აუწყლიანდება, ხმის კილო შეეცვლება, თანამგრძნობი გაგიხდება...*

*ბევრი მიხვდება ალბათ, საუბარია დედაზე, რომლის ერთადერთი შვილი „რძისფერ ბურუსში" ჩაიძირა. ცხოვრება მას მერე გაუსაძლისი გახდა, მაგრამ გაუძლო, გაუძლო და გული არ გაიტეხა, შეეჭიდა ცხოვრებას, არ გატყდა, შვილიშვილს უწილადა ის სიყვარული და სითბო, რომლის გაცემა შვილზე ბედისწერამ არ დააცალა.*

*...ქალბატონ ნათელა ალანიას ბავშვობა ნინა და კალისტრატე ალანიების ოჯახებიდან იწყება. დედა დიასახლისობდა, მამა კი სულ მუშაობდა–ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი, ზემო ქვალონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სადაც კი იმუშავა, იმუშავა სახელოვნად, პატიოსნად, ამიტომაც იმსახურებდა კიდევაც მთავრობის ჯილდოებს. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, ორჯერ დაჭრილი, მაინც იბრძოდა, აკი ჯილდოც მიიღო მამაცობისათვის. პირველი მწუხარება ოჯახმა ძლივს გადაიტანა ოთხი შვილიდან ერთი, უბედური შემთხვევის გამო 21 წლის ასაკში დაეღუპათ.*



გელა ლომაია

*შრომისმოყვარე ოჯახში გაზრდილმა ქალბატონმა ნათელამ, სადაც კი იმუშავა, გამოავლინა მაღალი პროფესიონალიზმი, საქმისადმი სერიოზული მიდგომა და კომპეტენტურობა. იგი ღირსეულ ქალბატონთა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომაც გადავწყვიტეთ მასთან გასაუბრება.*

# „ბედის ბორბალს" შეჭიდებული



***როგორ დაიწყო თქვენი შრომითი ბიოგრაფია, როგორ გაიხსენებთ იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთად გიმუშავნიათ?***

–შრომითი საქმიანობა დავიწყე ხობის საფინანსო განყოფილებაში ჯერ ბიუჯეტის ბუღალტრად, შემდეგ კი ბიუჯეტის სპეციალისტად... ამ დრომდე კი ვმუშაობ საბიუჯეტო განყოფილების უფროსად. ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკლო მუშაობისათვის მიღებული მაქვს რესპუბლიკის საფინანსო დარგის წარჩინებული მუშაკის წოდება.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთად საფინანსო განყოფილებაში მიმუშავნია, იყვნენ გამოცდილი და ნიჭიერი სპეციალისტები: ვლადიმერ ბებურია, პანტელეიმონ წურწუმია, ლოლა ზარქუა, იულია თათარიშვილი, ილია წურწუმია, ნაპო ცხადაია, ოთარ ჯორჯიკია, რომელთაგანაც დიდი გამოცდილება მივიღე.

***ყოველ ადამიანს ცხოვრებაში აქვს ყველაზე ბედნიერი და კრიტიკული პერიოდები. თქვენი ოჯახის ტრაგედია თითქმის ყველამ იცის და თითოეულმა მათგანმა გაიზიარა იგი. ამიტომ, ამაზე არაფერს გკითხავთ, როდის იყო თქვენთვის ბედნიერების წლები?***

–1969 წელს ჩემი ცხოვრება აპალონ ლომაიას დავუკავშირე. შეგვეძინა ვაჟიშვილი, გელა დავარქვით, შვილმა შეცვალა ჩემი ცხოვრება, ბედნიერი ვიყავი, ქმარ-შვილთან ერთად. მათ გამო ყველაფერი მიხაროდა... მაგრამ დრომ სწრაფად გაირბინა, ჩემი ერთადერთი შვილი ავტოავარიაში მოყვა და დამეღუპა. მას შემდეგ უმძიმესი წლები გამოვიარე, ვიბრძოდი იმისათვის, რომ ჩემი ოჯახის დამაქცევარი დასჯილიყო და მიზანს 4 წლის შემდეგ მივაღწიე. იმ პერიოდში არც სამსახურზე და არც არაფერზე ვფიქრობდი. თითქოს აქ დასრულდა ყველაფერი... მაშინდელი გამგებლის ბატონ ანგულ მიქავასა და ჩემი თანამშრომლების დაჟინებული თხოვნის შემდეგ ისევ სამსახურში გავედი და გავაგრძელე მოღვაწეობა. შვილის დაღუპვით გამოწვეული დარდი, მძიმე და ტანჯული დღეები სწორედ სამსახურის დაძაბულმა რეჟიმმა, ჩემი მეგობრების თანადგომამ გადამატანინა.

შვილის დაღუპვით გამოწვეული ტკივილი არ მაკმარა ბედმა და 2008 წლის აგვისტოს თვეში ავტოკატასტროფაში ძმისშვილი 30 წლის ახალგაზრდა ვაჟკაცი დამეღუპა, ახლახან კიდევ ჩემი მეუღლე წავიდა ამ ქვეყნიდან. დავრჩით მარტო მე და ჩემი შვილიშვილი გიორგი.

***გჯერათ თუ არა ბედისწერის?***

–არ ვიცი როგორ გითხრათ, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩემი უბედურება მხოლოდ ბედისწერა იყო.

***შეცდომა, რომელსაც ვერ აპატიებდით ვერავის?***

–უშეცდომო ცხოვრებაში არავინ არის, მაგრამ შეცდომას გააჩნია. მოფიქრებულად დაშვებული შეცდომის პატიება შეუძლებელია, ასეთ რამეს საკუთარ თავსაც არ ვაპატიებდი.

***იცვლება დრო, იცვლებიან ადამიანები, თქვენ კი წლების განმავლობაში ერთგულად აკეთებთ საქმეს, რომელსაც ემსახურებით, აქედან გამომდინარე, რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო?***

–ჩემი მიზანია ვაკეთო საქმე, რომელიც ჩემი მოვალეობაა. ერთგულად და შეუფერხებლად ვიბრძოლო წარმატებებზე, გავამართლო ყველას ნდობა სამსახურებრივი მოვალეობა შევასრულო ყველა კანონის დაცვით, რათა ჩემი შეცდომით ზიანი არ მივაყენო პირველ რიგში არც საკუთარ თავს და არც მუნიციპალიტეტს.

***ყველა ძლიერ ქალად მიგიჩნევთ, თქვენ როგორ ფიქრობთ, ძლიერი ხართ?***

–ყოველივე იმის შემდეგ, რაც გადავიტანე, ვცდილობ ისევ ისეთი შემართებით და ენერგიით გავაგრძელო ცხოვრება. ვფიქრობ, ძლიერი ვარ. ყველა ჩემთვის საიმედო ადამიანების, ჩემი და–ძმისა და მათი შვილების, ჩემი თანამშრომლების მოიმედე.

***რა უსურვებდით თქვენს გარშემომყოფებს?***

–ყველას ბედნიერ და წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ.

***გმადლობთ გულახდილი საუბრისთვის.***

P.S. როცა ამ მასალას ვამზადებდი, გავიგე, რომ ქალბატონი ნათელა თებერვლის თვეში ყოფილა დაბადებული, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მოგილოცოთ გაზაფხულის უმშვენიერესი დღესასწაულები–3 და 8 მარტი. მინდა დიდხანს სიცოცხლე და ჯანის სიმრთელე მოგცეთ უფალმა. მრავალჟამიერ!

***მანანა შულაია***

# გმადლობთ, ქალბატონო მერი!

გვწერენ



***მერი აბრამია***–ეს სახელი და გვარი კარგადაა ცნობილი ხობელებისათვის და არა მარტო მათთვის. მისი ნიჭიერება და ქველმოქმედება დიდი ხანია ათბობს ადამიანთა გულებს. საკმარისია ქალბატონი მერის გამოჩენა, ადამიანები სიყვარულით სავსე მზერით აცილებენ მას, მის ბედნიერ გზაზე. მის თანატოლებს, ამჟამად ხანდაზმულებს, უხარიათ მასთან შეხვედრა. „ჩვენს საყვარელ მერიკოს გაუმარჯოსო!"–ასე ხვდებიან მას. დღემდე ეიმედებათ მისი. ქალბატონ მერის ყველასთვის აქვს მოსაფერებელი სიტყვა, ღიმილი, საქმე.

ამ წერილს ჩვენ, გურიფულის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები ვაწერთ ხელს. სოფელში საბავშვო ბაღის აღდგენის საქმე ქალბატონი მერის სახელთანაა დაკავშირებული. იგი ამ საბავშვო ბაღში აღმზრდელი მასწავლებელია, რითაც მეტად გახარებულები ვართ.

ქალბატონი მერი ახალი ქველმოქმედებით შეეხიდა სოფლის შეჭირვებულ მოსახლეობას. ცნობილი, სამწუხარო ფაქტი გახლავთ ის, რომ ბავშვთა კვება ერთნახევარჯერ გაძვირდა. ღირდა 6 ლარი, გახდა 15. ამ მიზეზით ჩვენ ვერ ვახერხებდით ბავშვების ბაღში მოყვანას, მაგრამ ქალბატონმა მერიმ თვითონ იკისრა აღსაზრდელთა კვების ფულის ნახევრის გადახდა. 2010 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვის მთლიანი თანხა თვითონ გადაიხადა. 2011 წლის იანვრიდან კი თითო ბავშვზე გადასახდელი 15 ლარიდან 8 ლარს თვითონ იხდის, მშობლები კი 7 ლარს გადავიხდით.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო მერი, ტყუილად არ გეძახიან სოფელში „დედა–ტერეზას". გილოცავთ დედისა და ქალთა დღეს, იდღეგრძელეთ!

ღმერთი გაგახარებთ და გაგაძლიერებთ იმ სიკეთისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენთვის.

თქვენი მადლიერი ადამიანები: **რომან ჯიშკარიანი, როზა გულუა–მარგიანი, ნელი ნაჭყებია, თამარ კვარაცხელია, ხათუნა ქუჩუა და სხვები.**

# მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე!

ცხოვრება არავის ანებივრებს. დრო გადის, უკან არ ბრუნდება, გვიტოვებს ტკბილ–მწარე მოგონებებს, რაც მეხსიერებას და სულს შემორჩა, ხშირად გვახსენებს თავს. ამ გაზაფხულის პირზე, ქალთა დღესასწაულებისას, როგორ შეიძლებოდა არ გამხსენებოდა კოლექტივი, რომელსაც ლამაზი, კეთილშობილებით სავსე პროფესიონალები ავსებდნენ.

მაშინაც მარტი იყო, უფრო თბილი ურთიერთობებით, იმედიანი, სუსხიანი, იებით, ენძელებით და სიყვარულით სავსე. სამსახური ახლადაწყებული მქონდა და სულ სხვა თვალებით ვუყურებდი ყველაფერს... დილით, სამსახურში 9 საათზე, როგორც წესი, ვცხადდებოდით, დაგვიანებისათვის „ვისჯებოდით". ჩვენი სამსახურის გვერდით კოპწია შენობა (ახლანდელი ფერმერთა სახლი) იდგა წარწერით–რაიაბრეშუმი, სადაც უმეტესობა ქალები მუშაობდნენ, მე მეჩვენებოდა?–არა! ნამდვილად ასე იყო, საოცრად ლამაზები...

ხობის რაიონში მეაბრეშუმეობა საპატიო დარგად ითვლებოდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში 150 ტონამდე აბრეშუმის პარკი მზადდებოდა. რა თქმა უნდა, დიდი შრომის საზღაურად... აგრონომ–სპეციალისტები სოფელ–სოფელ, კარდაკარ დადიოდნენ, კონსულტაციებს იძლეოდნენ და თუთას, აბრეშუმის ჭიას და მე ვიტყოდი, მოსახლეობასაც ახარებდნენ...

როგორც მითხრეს, სხვადასხვა დროს თურმე რაიაბრეშუმს გიორგი კოდუა, ჟორჟი გერგაია და ნოე კუჭავა ხელმძღვანელობდნენ (ნათელი დაადგეს მათ საფლავებს). შემდეგ ჟორა იოსავა და ქალბატონი ვარდო წურწუმია. გასული საუკუნის 70-იან წლებიდან თუთის პლანტაციები დაავადდა. მიუხედავად მეაბრეშუმეთა მცდელობისა, თანდათან ნადგურდებოდა და მოსავლიანობაც საგრძნობლად მცირდებოდა. შემდგომ კი ხელისუფლების უნიათობის გამო საერთოდ განადგურდა და დარგიც დავიწყებას მიეცა. რაიაბრეშუმის ლამაზი კოლექტივი დაიშალა, ქალებიც თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ...

დღეს, მეაბრეშუმე აგრონომები მარგო ტალიკაძე (რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი), ოლია კვაჭაძე, თორნიკე ლატარია, კოლია ბუკია, ქსენია გაბისქირია, ვერა გვილავა, ნოე ლატარია–ცოცხლები აღარ არიან. მათ ისე იცხოვრეს, კვლავაც ახსოვთ, არ ივიწყებენ და პატივს მიაგებენ.

ამ დღეებში რაიაბრეშუმის ყოფილ აგრონომს საპატიო ნიშნის ორდენოსა ქალბატონ ნაზი სასანიას შევხვდი, მოვიკითხე და წარსულის ფურცლებს ერთხელაც შევეხეთ. გავიხსენეთ ჩვენი ლამაზმანები. უპირველესად ქალბატონი ვარდო წურწუმია–უბადლო ხელმძღვანელი, სანიმუშო დედა, დიასახლისი. რჩეულთა შორის რჩეული ქალბატონი. ტასო ზამბახიძე–რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, ჩინებული დედა და მეუღლე, სამაგალითო ადამიანი, რომელიც მიუხედავად ხანდაზმულობისა, აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს...

ნუნუ ბუკია, ნარგიზა დარსალია, იზოლდა შურღაია, ზოია კილასონია, ლიანა არჩაია, ბიჭიკო ლატარია, თინა კვარაცხელია მოგონებებით ცხოვრობენ. ახსოვთ ჯილდოების საზეიმო გადაცემები, ექსკურსიები, ახალგაზრდული შეხვედრები, მათი შვილებიც ხომ თითქმის ამ შენობებში გაიზარდნენ...

–განსხვავებული კოლექტივი იყო,–დანანებით ამბობს ქალბატონი ნაზი, ერთ ოჯახად ვიყავით, ჩვენი შვილებიც მეგობრობდნენ, სხვა დრო იყო, სხვა სითბო და სიყვარული...

აკი ვთქვით, დროს ყველაფერი მიაქვს, მაგრამ რჩება სიყვარული, რომელმაც ეს წერილი დამაწერინა. თითოეულ თქვენთაგანს მინდა მოვეფერო, ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე ვუსურვო და ვუთხრა, თქვენს სილამაზეს ყავლი არასოდეს გაუვა, თქვენ დაიმსახურეთ, რომ ისევ ისევე გვიყვარდეთ, გვახსოვდეთ და შეძლებისდაგვარად მოგეფეროთ.

მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე.

***მერი ლაგვილავა.***





ლამაზი მოგონებები ფოტოებმა შემოგვინახეს

## ეს უნდა იცოდეთ!

* თუ ოჯახის რომელიმე წევრისაგან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას განიცდით, თქვენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ხართ.

* ოჯახის წევრი, რომელიც ამგვარ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არის მოძალადე.

* ოჯახური ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს.

* 2006 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

* შენ გიცავს შენი კანონი ოჯახში ძალადობისაგან.

* ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.




## ხობში ,,ფერმერთა მომსახურების" რაიონული ცენტრი შეიქმნა




ხობში შეიქმნა ,,ფერმერთა მომსახურების რაიონული ცენტრი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რაიონის ყველა სოფელში ფერმერთა პრობლემების, მოთხოვნილებებისა და საჭიროების შესწავლა, მათზე ინფორმაციების შეგროვება პირადი გამოკითხვის გზით, მონაცემთა ბაზის შექმნა. მომხმარებელი აქ შეიძენს საჭირო, სერთიფიცირებულ საქონელს (თესლეული, ვეტპრეპარატები, შხამ-ქიმიკატები, სასუქები) და მიიღებს ახსნა–განმარტებას. ასევე სრულფასოვან მომსახურებას, რომლის მაღალკვალიფიციურობას განაპირობებენ აგრო-სპეციალისტები. ფერმერთა ცენტრის მუშაკებს შეხვდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **იგორ ტყებუჩავა** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **კახა ბუკია**, რომლებიც გაეცნენ ცენტრის სამომავლო გეგმებს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ხედვის – ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის პირველი ეტაპი ხობის მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებულია სწორედ ამ ცენტრის გახსნით, იმედი გამოთქვა, რომ ხობს, როგორც აგრარულ რაიონს, ძალიან დიდი ხელშეწყობის მექანიზმად წაადგება ცენტრის სრული დატვირთვით ამუშავება და რაიონის ტერიტორიაზე ხელს შეუწყობს გავრცელებული კულტურების უხვმოსავლიანობას. ასევე ისაუბრა კლიმატმედეგი, გვალვაგამძლე მარცვლეული კულტურის წარმოების ინტენსიფიკაციაზე, მეცხოველეობის დარგის განვითარებასა და ნიადაგის სრულფასოვნად დამუშავების აუცილებლობაზე. ფერმერებისათვის სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგა, მთავარია, ფერმერულმა ცენტრმა უზრუნველყოს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი პროექტი, რომ ეროვნულ პროდუქციაში ხობის მუნიციპალიტეტის შიდა პროდუქტის ხვედრითმა წილმა მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწიოს.

## უბედური შემთხვევა ყულევში

18 თებერვალს სოფელ ყულევში მდინარე ცივზე მომხდარ უბედურ შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა. შვიდი ადამიანი სამტრედიიდან ყულევში სანადიროდ გამოემგზავრა. ისინი მდინარე ცივში ნავით შევიდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ნავი ამობრუნდა, რის შედეგად ოთხი ადამიანი დაიხრჩო. სამაშველო ოპერაციაში სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ხობის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის (უფროსი გოჩა არაჩემია), ხობის შს პოლიციის რაიონული სამმართველოს (უფროსი ლექსო რაფავა) ორგანიზებული ჩართვით შესაძლებელი გახდა სამი ადამიანის გადარჩენა.

სამაშველო ოპერაციას ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის მოადგილე ვახტანგ ცხადაია. დაზარალებულები ქუთაისის საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილნი.

## ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში მგლების წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს



მუნიციპალიტეტის სოფლებში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებულიქნა გადაწყვეტილება მგლის 15 ინდივის ბუნებიდან ამოღების შესახებ, ამ მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა საკმარისი თანხა და ხელშეკრულება გაფორმებულიქნა გამოცდილ მონადირეებთან:

**რობერტ წურწუმია**,–სამოქმედო ზონა–ხიბულა. ახ.ხიბულა ტელეფონის ნომერი: 855 45 26 70.

**კობა ჭანტურია**–სამოქმედო ზონა- საჯიჯაო. ტელეფონის ნომერი: 857 51 67 71.

**ქიშვარდ ღადუა,**–სამოქმედო ზონა–ბია, ნოჯიხევი, ზ/ქვალონი. ტელეფონის ნომერი: 890 57 54 56

**ვლადიმერ ჯვარელია,**–სამოქმედო ზონა-სოფელ ჭალადიდი, ქვალონი, პატარა ფოთი, გურიფული. ტელეფონის ნომერი 855 79 26 96

**ზურაბ ლატარია,**–სამოქმედო ზონა–სოფ. თორსა-ღვაბა, ხამისქური, ხეთა, პრველი მაისი.

ტელეფონის ნომერი: 855 73 18 44

# 25 თებერვალი_საქართველოს ოკუპაციის დღე

# აივნიდან დანახული ოკუპაცია

მე გოგა ვარ. ვცხოვრობ ხუთსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე. ეს სახლი ცენტრალური საავტომობილო გზის გასწვრივ დგას. ხობი პატარა ქალაქია და, როგორც იტყვიან , მოვლენებს ზევიდან დავჰყურებ...

2009 წლის გაზაფხულზე, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, სიძველეთა გამოფენა ტარდებოდა. ჩემი ყურადღება გამორჩეულად, ორმა მათგანმა მიიპყრო, ერთი–ორგვერდიანი, სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი იყო, მეორე–ჭურვის საკმაოდ მოზრდილი ნამსხვრევი. როგორც გამოფენის ორგანიზატორმა, გოგიტა ჩიტაიამ ამიხსნა, ჭურვის ნამსხვრევი ჯეგეთის არქიტექტურული კომპლექსიდან მოუტანია. ეს ადგილები რუსებმა, ვეტმფრენებით 2008 წლის აგვისტოში დაბომბეს, გაყვითლებული ქაღალდი კი მას ერთ-ერთ დაწესებულებაში, გადასაყრელად გამზადებულ მაკულატურაში უპოვია. იგი წარმოადგენს „საეკლესიო მეტრიკული წიგნის“ ნაწილს, რომელშიც აღნიშნულია ორი ადამიანის გარდაცვალების შესახებ _ „ნიკო ესართია - 48 წლის, ავქსენტი სიგუა - 26 წლის...“ ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერია, მაგრამ გარდაცვალების მიზეზი ორივეს ერთი და იგივე უწერია _ „რუსის ბოლშევიკებმა მოკლეს უდანაშაულოდ გზაშიდ“, რაც 1921 წლის 10 მარტს მომხდარა. ამ დოკუმენტს ხელს აწერს ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი დავით კუჭავა. აქედან ვასკვნით, 1921 წელს რუსები მარტო წითელი ხიდიდან არ შემოსულან, ისინი სოჭის მხრიდანაც შემოვიდნენ.

1921 წლის ოკუპაციის შედეგები ყველამ ვიცით _ რეპრესიები, ეკლესია-მონასტრების ნგრევა, გლეხობის განადგურება... ახლახან ადგილობრივ გაზეთ „ხობის მოამბეში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ხობელები და რუსული ოკუპაცია“. თურმე, მარტო ხობში, 1924 წელს შეიარაღებულ აჯანყებულთა რიცხვი 400 კაცს აჭარბებდა. აქვე ვიგებ, _ 1931 წელს საქართველოში და ჩვენს რაიონშიც მორიგი აჯანყება მზადდებოდა, რასაც უმკაცრესი რეპრესიები მოჰყოლია. ბევრი მონაწილე, მათ შორის 2008 წლის 8 აგვისტოს რუსებთან ბრძოლაში დაღუპული ჩვენი სკოლელის, 21 წლის მიშიკო იოსავას ბაბუა, სოლომონი გადაუსახლებიათ. ესეც თვალსაჩინო ფაქტია. ჩვენ არ ვეგუებით და ვერც შევეგუებით ოკუპაციას.



2008 წლის აგვისტო! ტელევიზია ომის ამბებს გადმოსცემს, ომის დაწყებას რუსები ჩვენ გვაბრალებენ?! სენაკში რუსული ავიაციის მიერ დაბომბვისას დაღუპული ხობელი რეზერვისტები (და არა მარტო ხობელები...) ჯერ დაკრძალულნი არ არიან.

ვიხსენებ იმ დღეს. რუსები ჯერჯერობით ხობში არ შემოსულან. უცებ, უჩვეულო ხმაური მესმის. აივანზე ვდგავარ, რუსული ტექნიკა მოდის–„სამთავიანი ურჩხული“ კბილების ღრჭიალით და რახრახით, გველეშაპივით გაწოლილა ამ გზაზე და თითქოს დასასრული არ უჩანს. ამ საშინელების ფონზე ჩემი სახლის წინ მდგარი ეკლესია მამშვიდებს, ღვთის იმედი მაქვს. რას ვიზამთ?! - ჩვენი ჯვარი ჩვენ უნდა ვზიდოთ, ყველა დროში არ იყო, ერთ ქართველზე ათჯერ მეტი მომხდური მოდიოდა?! ამჯერადაც ვერ შეგვაშინებენ!

რუსებს, როგორც 1921 წელს, ასევე 2008 წელს ერთი მიზანი ჰქონდათ–საქართველოს დაპყრობა! საბაბი მაშინ ქართველი მშრომელების _ პროლეტარების ინტერესები, ამჯერად კი, მცირე ერების ინტერესების დაცვა იყო. 1921 წელს საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ დაიცვა საქართველო, 2008 წელს კი, მან ეს შეძლო. თუმცა, აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია, მჯერა, ეს დიდხანს არ გაგრძელდება, ისტორია ვერ ჰგუობს არაკანონზომიერ ქმედებებს. რუსეთს საქართველოდან წასვლა მოუწევს, მისი, როგორც უვერაგესი დამპყრობლის და აგრესორის სახე ყველამ დაინახა...

ეს ყველაფერი კი კარგად ჩანს ჩემი სახლის აივნიდანაც...

***გოგა ლატარია,***
***ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე.***

კოლაუ ნადირაძე

### 25 თებერვალი

თოვდა და თბილისს ებურა
თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
გულდვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა
გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და
ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ
გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ
დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა
თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი
დაცხრა კოჯორი და ტახმელა
მხოლოდდა თოვლი ცვიოდა
ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს,
დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა და თბილისს ებურა
თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ
ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა
ძვლები,
სად, ქართლის დედის ცრემლით
ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად, გმირთა სისხლით
ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის
ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ
ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით
ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

თოვდა და თბილისს ებურა
თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი

# ოლიმპიადა_წარმატებული მომავლის საწყისი

***განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან ყოველწლიურად, ყველა საგანში. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ტარდება, რომელსაც გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი ატარებს.***

***ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანია, ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენა, მიმდინარე სასკოლო რეფორმისადმი ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება.***

***ოლიმპიადაში, ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. წლევანდელ ოლიმპიადაზე მოსწავლეთა შორის მხოლოდ 11 მოსწავლემ შეძლო I და II ტური წარმატებით გადაელახა. წინ მესამე გადამწყვეტი ტური ელოდებათ. ოლიმპიადის მე-3 ტური თბილისში ტარდება. გამგზავრებამდე მე შესაძლებლობა მომეცა, გავსაუბრებოდი თითოეულ მათგანს. ჩვენი შეხვედრა განათლების რესურსცენტრში შედგა. საუბრის თემა იყო: სასკოლო რეფორმები, საატესტაციო გამოცდები, მთავარი მაინც გახლდათ ოლიმპიადა. ეროვნული სასკოლო სასწავლო ოლიმპიადის III ტურში გადასული მოსწავლეები არიან: ქ.ხობის №1 საჯარო სკოლიდან: მარიკა ჯანჯღავა, სალომე მანიაშვილი, ლევან სიჭინავა. ქ. ხობის №2 საჯარო სკოლიდან: ირაკლი სერგია, ქრისტინა ნორაკიძე, დავით ქანთარია; საერო სკოლა „არეადან“–ლევან საბახტარაშვილი; ხეთის საჯარო სკოლიდან–ფიქრია ხუნწარია; შუა ქვალონის საჯარო სკოლიდან–ალექსანდრე გელაშვილი; შუა ხორგის საჯარო სკოლიდან–დარიკო შენგელია; ქარიატის საჯარო სკოლიდან–სალომე ზარქუა.***

*ახალგაზრდა ნიჭიერ თაობასთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, დიდ დროს არ წაგართმევთ, მხოლოდ რამდენიმე კითხვით შემოვიფარგლები:*

**როდის მიიღეთ პირველად ოლიმპიადაში მონაწილეობა?**

**რა შეგძინათ ოლიმპიადამ?**

**საატესტაციო გამოცდებმა ხომ არ შეგაშინათ, სასკოლო რეფორმაზე რას მეტყოდით?**

*მოდით პირველი საჯარო სკოლიდან დავიწყოთ:*

**მარიკა ჯანჯღავა, მე 12 კლასის მოსწავლე:** –პირველად ოლიმპიადაში მონაწილეობა მე-11 კლასში მივიღე. წელს პირველ ტურში სამ საგანში ვმონაწილეობდი, მესამე ტურში მონაწილეობას ორ საგანში –ქართულ ენასა და ბიოლოგიაში ვაპირებ. იმედი მაქვს, მიუხედავად სიძნელეებისა, მესამე ტურის გადალახვა არ უნდა გამიჭირდეს.

***ლევან სიჭინავა:*** – თუ შეიძლება მე საატესტაციო გამოცდებზე გიპასუხებთ.

როდესაც მოსწავლე ამთავრებს სკოლას და ეძლევა ატესტატი, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თუნდაც ზოგადი საბაზისო ცოდნა არა მხოლოდ სამ და ოთხ საგანში, არამედ თითოეულ მათგანში. მთავარი სირთულე, რაც საატესტატო გამოცდებმა წარმოქმნა, ეს იყო მოულოდნელობა, რადგან, როდესაც 11 წლის განმავლობაში მიდიხარ ერთი კონკრეტული განხრით და სხვა საგნებს არ უთმობ სათანადო ყურადღებას, ეს არ არის ადვილი. ეს მოულოდნელობა ვფიქრობ, მხოლოდ ახლანდელი დამამთავრებელი კლასისთვის უნდა იყოს უხერხულობის შემქმნელი, თორემ სხვა კლასელებს საკმარისი დრო გააჩნია იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოემზადონ. რაც შეეხება ოლიმპიადას, მხოლოდ ერთს ვიტყვი, მე პირადად ოლიმპიადაზე მოპოვებული წარმატების შემდეგ მივხვდი იმას, რომ საატესტაციო გამოცდისათვის მზად ვარ.

**ლევან საბახტარაშვილი–საერო სკოლა „არეა“:** –რადგან ეს საკითხი წამოიჭრა, მეც გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას. რეფორმები ყოველთვის სიახლეებს გვთავაზობს, რაც მისასალმებელია. ეროვნულიც და საატესტატო გამოცდებიც რათქმა უნდა, არ იქნება მარტივი, მაგრამ გადაულახავი არა. ჩემი აზრით, შევძლებ გადალახვას. ორი წელი წინ მაქვს, ვეცდები ნაყოფიერად გამოვიყენო.

**დავით ქანთარია, წარმოვადგენ მეორე საჯარო სკოლას:** –ოლიმპიადაში წარმატება ისტორიაში მოვიპოვე, ისტორია, როგორც მეცნიერება, ძალიან მიყვარს, რადგან ეს არის ჩვენი წარსულის შესახებ თხრობა. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „თუ ადამიანმა არ იცის ვინ არის ან საიდან მოდის, ემსგავსება ბოგანოს“, ამიტომაცაა საჭირო ისტორიის ცოდნა. ამ ოლიმპიადას ერთი ნაკლი ჰქონდა, სახელდობრ ის, რომ საკითხები სხვადასხვა წიგნიდან იყო აღებული, რაც ჩემი აზრით, მოსწავლეს არ აძლევს საშუალებას თავისი თავი ამ საგანში სრულად წარმოაჩინოს.

*–რადგან ისტორიაზე ჩამოვარდა საუბარი, მეც ვიტყვი, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვას.*

*გისმენთ, წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი?*

**–სალომე ზარქუა–ქარიატის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.**

მეც ისტორიაში მივიღე მაღალი ქულა. ისტორიას მაინც სხვაგვარი ხიბლი აქვს და დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით ჩემი სამშობლოს ისტორია მაინტერესებს. საქართველოს ისეთი ტანჯული წარსული ჰქონდა, რომ მისი გაცნობისა და გათვალისწინების გარეშე უკეთეს მომავალს ვერ ავაშენებთ.

**ალექსანდრე გელაშვილი–შუა ქვალონის საჯარო სკოლა.**

–ოლიმპიადა, პირადად ჩემთვის არის წარმატებული მომავლის საწყისი. ძალიან ბევრი ვიშრომე იმისათვის, რომ აქამდე მომეღწია, არ იყო მარტივი ორი ტურის დაძლევა. ამაში უდიდესი წვლილი ჩემს მასწავლებლებს მიუძღვით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

– მასწავლებლებს მეც მინდა მადლობა გადავუხადო, სხვებისაგან გამორჩეული სითამამით მეუბნება **ირაკლი სერგია,** მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე: –ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება სამწუხაროდ, წელს დავიწყე. ვთვლი, რომ საკმაოდ წარმატებულად, ჩემი თავის კმაყოფილი ვარ და უფრო მეტს ველი. ჩემს წარმატებაში განსაკუთრებით მასწავლებლის როლი მინდა აღვნიშნო და მადლობა გადავუხადო გერმანულში–ლელა კიტიას, ისტორიაში–ლალი კიტიას, გეოგრაფიაში–ნატო ცხადაიას.

**დარიკო შენგელია–შუა ხორგის საჯარო სკოლა:** –წარმატებით გავიარე ოლიმპიადის I და II ტური, მოვხვდი წარმატებულ მოსწავლეთა ასეულში. ჩემი მასწავლებლის ჟანა გაბელიას დიდი მადლიერი ვარ, რომელმაც ხელი შემიწყო, რათა ამ წარმატებისათვის მიმეღწია.

**ფიქრია ხუნწარია –ხეთის საჯარო სკოლა:** –რუსეთში ცხოვრების რამოდენიმე წელმა განაპირობა, ოლიმპიადაზე მონაწილეობა რუსულ ენაში მიმეღო. ოლიმპიადა ტესტების სახით იყო წარმოდგენილი. დიდი ყურადღება გრამატიკას ეთმობოდა. ჩემი აზრით, ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობა საშუალებას იძლევა, წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი და მიღებული ცოდნა.

– მე ბელორუსიაში დავიბადე, ქ. მინსკში, ოთხი წელი დავდიოდი რუსულ სკოლაში,–ასე იწყებს საუბარს **ქრისტინე ნორაკიძე–მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე,** რომელმაც წარმატება ოლიმპიადაზე რუსულ ენაში მიიღო, ის ხუთი წელია, რაც აქ სწავლობს, მიუხედავად იმ გამოცდილებისა, რაც მან მინსკში მიიღო, თვლის, რომ ეს წარმატება ნაწილობრივ მისი მასწავლებლის ასმათ ჯიშკარიანის დამსახურებაა.

*ჩვენი საუბარი დასრულდა.*

*გისურვებთ წარმატებებს.*

**ნინო გერგაია.**

## პერსონა

ჟურნალისტისთვის იმაზე დიდი პროფესიული ბედნიერება არ არსებობს, როცა წერილის ადრესატის წარმოსაჩენად სიტყვების ძებნა არ გჭირდება, მაგრამ მეორე უკიდურესობაა, უნდა იფიქრო იმაზე, ზომიერება დაიცვა და კალამი არ მიუშვა...

დღეს ჩემი რესპოდენტი თქვენთვისაც არანაკლებ ნაცნობია. ამიტომ შევეცდები ისეთ „წვრილმანებზე“ გავამახვილო ყურადღება, რაც თქვენთვის უცნობია.



კაფია ალანია

ოსტატდა, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე თვის შემდეგ ძილში ქალის კივილის ხმა ჩაესმა. ბატონი ღუღუნი გარდაცვლილიყო.

დილა გათენდა. დარჩა მარტოდმარტო, საღამოს გამომცხვარი პურების ამარა, არ იცოდა სად წაეღო... ცხონებულმა ვალიკო ქირიამ (რომელიც სოფლის მაღაზიის გამგე იყო), მასწავლა ფაქტურის დაწერაო,–იხსენებს. იმ დღეს ყველა პურიც გაყიდა, თანხა ხობში წამოიღო და როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, მის ირგვლივ კეთილი ადამიანების რკალი შეიკრა. გავიდა დრო და ღუღუნის ოჯახის დაჟინებული თხოვნით და ხელმძღვანელთა თანხმობით პურსაცხობიც ჩაიბარა, მას მერე სხვა გზა არ უძებნია. ამ გზამ მიიყვანა შპს „ირაკლი–2001“-ის შექმნამდე. გაფართოვდა პურსაცხობი, იქ 25 ადამიანია დასაქმებული, ყოველდღიურად 1,5 ტონა პური ცხვება და მარაგდება მუნიციპალიტეტის სოფლები... ეს არის ის, რაც მის ბიოგრაფიას ალამაზებს. შრომამ, მონდომებამ, გამჭრიახობამ, კეამშვენებენ მის ოჯახს..

ახლა ერთი ოცნებაა ასახდენი–კიდევ მრავალი შვილიშვილი ჰყავდეს და მათ ცხოვრების გზას უწინამძღვროს, როგორც ბედნიერმა ბაბუამ...

იყო წლები, როცა რაიონში სამ პურსაცხობს ხელმძღვანელობდა–ხობში, ახალსოფელში და ქვემო ქვალონში. თვეში 220 ტონა პური ცხვებოდა. ასე გაილია 18 წელიწადი. იმ ავადმოსაგონარ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, რამდენი უპოვარისათვის გაუწევია დახმარების ხელი, ვის ჭირსა და ლხინში არ ჩამდგარა იმედად. ამიტომაც უყვარს სოფელს, ამიტომაც არ ემეტება აუგის სათქმელად. მას არასოდეს ავიწყდება შრომით გაკაფული გზის დასაწყისი. იცის მისი ადგილი საზოგადოებაში, არასოდეს ტოვებს სიკეთის კეთების სურვილი, ზომიერების გრძნობა...

საახალწლოდ საქართველოს პრეზიდენტისაგან სამადლობელი, მოლოცვა და საჩუქარი მიიღო, ცხოვრების მე-60 წელი ბედნიერად დაიწყო...

# სიკეთით გასხივოსნებული...

თუ იუმორს მოვიშველიებ, თავიდანვე უნდა ვთქვა, მას უპირველესად იცნობენ, როგორც „კაფიას პუ-



ნიკა და გიორგი სიჭინავები

რის“ ავტორს. უფრო მეტიც, თუკი ვინმეს სოფელ ქვემო ქვალონში ვისიმეს მისამართი სჭირდება, გეკითხებიან, კაფიას პურსაცხობთან ხომ არ ცხოვრობსო. არ დავინტერესებულვარ ვინ და რატომ შეარქვა ჯუმბერ ალანიას „კაფია“, მაგრამ ვიცი, რომ თავისი ცხოვრება სიკეთისაკენ გზის გაკაფვაა... არასოდეს ავიწყდება გავლილი გზა, ალბათ ამიტომაც მისი ცხოვრება სინათლითაა გასხივოსნებული..

მრავალშვილიან, პატიოსან და მშრომელ ოჯახში გაიზარდა. 14 წლის იყო მშობლებმა ნეტარხსენებულ სამუშაოთა მწარმოებელ რეზო თუთბერიძესთან რომ მიიყვანეს, სთხოვეს, იქნებ მშენებლობაზე დამხმარე მუშად აიყვანოთო. ერთხანს იმუშავა კიდეც, მაგრამ პატარა ბიჭს ფიზიკური სამუშაო ეძნელა, იქვე პატარა პურის საცხობისკენ ეჭირა თვალი. მიხვდა, თუკი იქ მოხვდებოდა, სითბო და ცხელი პური არ მოაკლდებოდა...

იმ ხანად ქვალონის პურსაცხობში ცხონებული ღუღუნი ბოკუჩავა მუშაობდა, მკვირცხლი და შრომისმოყვარე ბიჭი, მანაც შეამჩნია,–ყოველდღიურად თითო პურს მოგცემ, სხვა ჯამაგირისა რა გითხრაო, და... თანხმობაც მიიღო. პურის ცხობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მაგრამ სწავლა არ გასჭირვებია, ადვილად და-

თილსინდისიერებამ მოუტანა დაფასებაც, ღირსებაც... და ის, რასაც „კაფიას პურის“ ავტორობა ჰქვია...

ცხოვრება არავის ანებივრებს, მწარე დღეებიც ბევრი ახსოვს, არ არიან მისი მშობლები, ახალგაზრდა ძმები, ობოლ ძმისშვილებს ისევე ზრდიდა და უმართავდა ხელს, როგორც საკუთარ შვილებს, ეს რაც რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო.



საბა ალანია

მის ხასიათში გამოკვეთილია უპირველესად მომავლის ხედვის ნიჭი და რწმენა, ზოგადად უკეთესი ცხოვრებისა, მოყვასისადმი თანადგომა, სიკეთე და ჭირთათმენა, უკეთესობისაკენ სწრაფვის სურვილი თან დაჰყვება მის ცხოვრებას.

ქალბატონ მადონა ლეფსაიასთან ერთად თბილი და მოსიყვარულე ოჯახი შექმნა. ოთხი შვილი გაუზარდა ქვეყანას.

–ჩემი უპირველესი საფიქრალ–საზრუნავი იყო შვილებისათვის უმაღლესი განათლება მიმეცა, ამ მხრივ მიზანმიღწეული კაცი ვარ,–მითხრა ერთხელ. შვილები: ნანა–ქვალონის სკოლაში მასწავლებელია, ფარმაცევტები ხათუნა და ნინო თბილისში მუშაობენ. იურისტი ირაკლი კი სამეგრელო–ზემო სვანეთის შს. მთავარი სამმართველოს გამომძიებელია.

ძლიერია იმითაც, რომ რძალი და სიძე, სამი შვილიშვილი–საბა ალანია, ნიკუშა და გიორგი სიჭინავები

ეტყობა სიყვარული და აღიარება (მიუხედავად თანამდებობისა და წოდებისა) სიამოვნებასთან ერთად მძიმე ტვირთიცაა, რომლის ტარება ბარბაცის გარეშე რჩეულთა ხვედრია. ღვთის მოშიშ და მოყვარულ ჯუმბერ ალანიას ცხოვრება იმის დასტურია, როგორ შეიძლება მარტომ (ცნობილი და გავლენიანი დედ–მამის გარეშე) გაილამაზო შენი სიცოცხლე, იცხოვრო გარშემომყოფთა ცხოვრებით, აკეთო საყვარელი საქმე, არ დაიჩოქო გაჭირვების ჟამს და გახსოვდეს შენი და შენი ოჯახის სიყვარული როგორ უნდა ათბობდეს სხვასაც...

მე გულწრფელად მიხარია, რომ ჯუმბერ ალანიას აქვს საამაყო უფლება, სიბერის ჟამს მშვიდად მოიხედოს უკან...

P.S. მალე ჩემი თანასოფლელი და ახლობელი ადამიანი 60 წლის გახდება. მინდა გულწრფელად მივულოცო ეს შუა დღე, დაისამდე სავალი ისეთივე მართალი და ლამაზი ყოფილიყოს, როგორც გავლილი ცხოვრების გზაა.

ჯანმრთელობა და სიმხნევე არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს, თქვენს მოიმედე ადამიანებს.

მაპატიეთ, ვგრძნობ, ვგონებ კალამი გამექცა...

*მერი ლაგვილავა*

## ჩვენი მილოცვა

## კირილე ლაგვილავას!



ადამიანის გონება, ეს დღემდე შეუცნობელი ფენომენი ბუნებისა, თავის ფსკერზე ბევრ კარგსა და ცუდ მოვლენებს ლექავს, ჟამთასრბოლაში მათი სიმძაფრე კარგავს პირვანდელ ცხოველმყოფელობას, მაგრამ მაინც არის გამორჩეული მოვლენები, რომლებზე ფიქრსა და სასიამოვნო განცდას წელთა სიმრავლე ვერას აკლებს, ამგვარი, გაუხუნარი მოვლენებით არის სავსე თქვენს მიერ გავლილი, მთელი 90 წელიწადი, სათქმელად და საწერად ძალიან ადვილი, განსავლელად კი ძალიან ძნელი და ხანგრძლივი. მითუმეტეს, თუ დღესაც ხარ მწყობრში, აქტიური, დღევანდელი ცხოვრების სწორად აღმქმელი... და ბოლოს–ყველა რედაქციის გვერდით მდგომი და მეგობარი.

გილოცავთ დაბადების დღეს, სითბო და სიყვარული არ მოგაკლოთ ღმერთმა, თქვენთვის უსაყვარლესი ადამიანების გვერდით კიდევ დიდხანს იყავით ოჯახის და ახლობლების ბურჯად.

რედაქციელები

***

ნამდვილი გრძნობით იცი როდის გიყვარს? როცა გიყვარს უსაზღვროდ, როცა გენატრება მაშინაც, როცა ის შენს გვერდითაა, როცა ღამე მასზე ფიქრში იძინებ და დილა მასზე ფიქრით იწყება. სწორედ ასეთი სიყვარულით მიყვარს ის სათნო, მოსიყვარულე და ერთგული მოხუცი, რომელმაც ჩემს სიცოცხლეს აზრი შესძინა, რომელიც ჩემთვის დედაცაა, მამაც, მეგობარიც. დამრიგებელიც და მსმენელიც.

ჩემი ბაბუა ახლა 90 წლის გახდა, როგორი ბედნიერებაა ჩემთვის იმის გაცნობიერება, რომ ის ჩემს გვერდითაა. ძნელია ამის გამოხატვა, თუმცალა რა საჭიროა, ის ისედაც გრძნობს ჩემს უსაზღვრო სიყვარულს.

საყვარელო ბაბუ! გილოცავ იუბილეს, იყავი მუდამ მხნე, ჯანმრთელი და ახალგაზრდების ჭკუის დამრიგებელი. დიდხანს იცოცხლე და იბედნიერე, გაიხარე შენი ოჯახის კეთილდღეობით.

მრავალჟამიერ შენს სიცოცხლეს.

შენი მარიამ სულიკაშვილი.

## „დაუვარცხნელი აზრები“.

*სტანისლავ ლეცი*

* ყველა ადამიანი მსახიობია, სად ვუპოვოთ ყველას რეპერტუარი?

* ყველა დიდ ტრაგედიას ბოლო კეთილი აქვს, მაგრამ ბოლომდე ჯდომა არ გინდა!

* სულიერ საჭურისებაც შეუძლიათ მაღალი ნოტის აღება.

* ფრთხილად მოეკიდე ცხოვრების დრამატიზაციას! ხომ შეიძლება თქვენი როლის უკეთესი შემსრულებელი მოინახოს!

* ზოგიერთებს ფრთები კუზიდან ეზრდებათ. მანამდე მაინც ვიყოთ ადამიანები სანამ მეცნიერებას არ აღმოუჩენია, რომ ვიღაც სხვანი ვართ.

* ფეხის დადება ყველაზე უკეთ კონდრისკაცებმა იციან. ის იმათი დონეა.

* ბევრნი ავტობიოგრაფიაში თავიანთ არსებობას ჩქმალავენ.

* ძალიან ძნელია ნადირის მოფერება, როცა ტყავით არის მოსილი.

## ქვირაძალის ნასაკითხი

*როდესაც მათ წერილებს კითხულობ, უცნაური გრძნობა გეუფლება, თითქოს თანამონაწილე ხარ იმ იდუმალი განცდებისა, გენიოსებს სულს რომ უფორიაქებდა, ღვთაებრივ ძალას მატებდა, უახლეს სივრცეებს გადაუშლიდა თვალწინ.*

*დიდი ადამიანების სატრფიალო ბარათების კითხვისას, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თვით გენიოსების ცხოვრებაშიც კი სწორედ ადამიანური გრძნობებია ყველაზე უფრო ღვთაებრივი და ამაღლებული.*

*უფრო ნაკლებად, მაგრამ ალბათ ახლაც იწერება სატრფიალო ბარათები, ახლაც ღელავენ სიყვარულის მარადიულობით სავსე სულები, მაგრამ ეს წერილები იმიტომ გავიხსენეთ, რათა კიდევ ერთხელ განვიცადოთ როგორ უყვარდათ წარსულში–დიდ ადამიანებს, რა საოცრად ვგავართ ჩვენ მოკვდავნი მათ, როცა სიყვარულის უკვდავი სულით ვიმსჭვალებით.*

*როგორ უყვარდათ დიდ ადამიანებს*

# ბარათებში გაბნეული სიყვარული

### იოჰან ვოლფგანგ გოეთე ქალბატონ ფონ–შტაინს.

***(ხუთშაბათ, 22 მარტი)***

შენი სიყვარული დილისა და საღამოს ვარსკვლავებს ჰგავს. იგი მზის შემდეგ ჩადის და მზემდე ამოდის. თითქოს ჩრდილოეთის ვარსკვლავი იყოს, რომელიც, არასოდეს ჩადის და ჩვენს თავებს ზემოთ მარად ცოცხალ გვირგვინს წნავს. ღმერთებს შევთხოვ, რომ არ აიძულონ იგი ცხოვრების გზაზე ჩამიქრეს. გაზაფხულის პირველ წვიმას შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენს გასეირნებას. იგი აიძულებს მცენარეებს გაიფურჩქნონ, რათა მალე პირველ სიმწვანეს შევხაროდეთ. ჯერ არასოდეს ერთად ასეთი საოცარი გაზაფხული არ გაგვიტარებია. დაე, მას შემოდგომა ნუ ექნება. მაპატიე! 12 საათისთვის ვიკითხავ, რა იქნება. ნახვამდის, ყველაზე კარგო, საყვარელო!

### ნაპოლეონი–ჟოზეფინას

***(1796 წლის 3 აპრილი)***

ჩემო ერთადერთო ჟოზეფინა–შენგან მოშორებულს მთელი სამყარო უდაბნოდ მეჩვენება, რომელშიც მე მარტო ვარ... შენ ჩემი სული დაიპყარი და უფრო მეტიც, შენ ჩემი ერთადერთი ფიქრი ხარ. როცა მომბეზრდებიან მოსაწყენი არსებები, ადამიანები, რომ ჰქვიათ, როცა მზად ვარ სიცოცხლე დავწყევლო–ხელს გულზე დავიდებ. იქ შენი ხატება მაქვს, ვუყურებ მას, სიყვარული ჩემთვის აბსოლუტური ბედნიერებაა... რა ჯადოთი შესძელი დაგემორჩილებინა მთელი ჩემი უნარი, მთელი ჩემი სულიერი ცხოვრება მხოლოდ შენზე შეგეჩერებინა? სიცოცხლე ჟოზეფინასათვის! აი მთელი ჩემი სიცოცხლის ისტორია!

სიკვდილი ისე, რომ შენი სიყვარულით არ დავტკბე, ჯოჯოხეთური წამებაა, ეს არის სრული განადგურების ნამდვილი სახე. ჩემო ერთადერთო მეგობარო, ბედისგან რჩეულო, რათა ერთად გავიაროთ ცხოვრების ძნელი გზა–იმ დღეს, როცა ჩემი აღარ იქნები–სამყარო ჩემთვის მთელ თავის მშვენიერებას დაჰკარგავს.

### გუსტავ ფლობერი–ქალბატონ...

***1801 წლის 7 ივლისი***

გამარჯობა! როგორც კი გავიღვიძე ჩემი ფიქრები უმალ შენსკენ გამოფრინდნენ, ჩემო მარადიულო სიყვარულო! ხან სიხარული მეუფლება და ხან კაეშანი იმის გაფიქრებისას, თუ რას გვიმზადებს ბედი. მე მხოლოდ შენთან შემიძლია ვიცოცხლო, სხვანაირად არა; გადავწყვიტე მანამ ვიხეტიალო შენგან შორს, სანამ არ შევძლებ მოვფრინდე ისე, რომ გულში ჩაგიკრა, მთლიანად ჩემად შეგიგრძნო და ამ ნეტარებით დავტკბე. სამწუხაროდ, ეს საჭიროა; შენ ამაზე დათანხმდები, მით უფრო, რომ ჩემს შენდამი ერთგულებაში დარწმუნებული ხარ; ვერასოდეს სხვა ვერ დაეუფლება ჩემს გულს, ვერასოდეს, ვერასოდეს. ო ღმერთო, რატომ უნდა მიატოვო ის, ვინც ასე გიყვარს! ის ცხოვრება რასაც ახლა მე №-ში ვეწევი, მძიმეა. შენი სიყვარული უბედნიერეს ადამიანადაც მაქცევს და იმავდროულად ყველაზე უბედურადაც; ჩემს ასაკში უკვე გარკვეული ერთფეროვნება, მყარი ცხოვრებაა საჭირო.

მშვიდად იყავი; მხოლოდ ჩვენი ცხოვრების მიმართ მშვიდი დამოკიდებულებით მივაღწევთ ჩვენს მიზანს–ერთად ვიყოთ; მშვიდად იყავი–გიყვარდე დღეს–ხვალ.

***1846 წლის 9 აგვისტო,შაბათ საღამოს***

ცა მოწმენდილია, მთვარე კაშკაშებს, მეზღვაურთა სიმღერა ჩამესმის, მოსალოდნელი მოქცევისათვის ნავებს ამზადებენ... ერთი ღრუბელიც არ ჩანს, მცირეოდენი ნიავიც არა ქრის. ჩრდილში მდინარე შავად მეჩვენება, მთვარის შუქზე –ვერცხლისფრად, სანთლების ირგვლივ მწერები ირევიან და ღია ფანჯრიდან ღამის სურნელება აღწევს. ნეტავ ახლა თუ გძინავს? თუ ფანჯარასთან ოცნებობ? იგონებ თუ არა მას, ვინც შენზე ფიქრობს? რა ფერისაა შენი ოცნებები?

გამუდმებით შენზე ვფიქრობ, გამუდმებით ვოცნებობ შენს სახეზე, შენს მხრებზე, შენს თეთრ ნაზ ყელზე, შენს ღიმილზე, შენს ხმაზე–ვნებიან, მბრძანებლურ და ამავდროს სიყვარულის ძახილივით ნაზ ხმაზე. მე მგონი, უკვე გითხარი, რომ ყველაზე მეტად ეს შენი ხმა მაჯადოვებდა.

### ილია ჭავჭავაძე–ოლღა გურამიშვლს

***6 თებერვალი, ღამის 3 საათი, 1863 წელი***

ჩემო კარგო ოლიკო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად, რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულობ. სტამბაშიც–კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამითენდა და შენი წერილითვე არ დამიღამდა. შენც იმდენ ყურადღებას იჩენ, რომ იშვიათად ძალზე იშვიათად მითენდება მოსაწყენი დღე. მადლობას მოვახსენებ ამისათვის ჩემს ძვირფას ოლიკოს. იმედი მაქვს, მერმეც ასეთ ყურადღებას გამოიჩენ შენი ილიკოს მიმართ!

***დილის 5 საათი, 28 თებერვალი, 1863 წელი***

მთელი შენი ნათესაობა ყველაზე ახლობლით დაწყებული და ყველაზე შორეულით გათავებული, ერთნაირად არიან თითქოს ელექტრონით დამუხტულნი, ჩვენი საქმის საწინააღმდეგოდ. თუ ვინმე ეხლა გეთანხმება, ეს იმას არ ნიშნავს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თითქოს მაშინაც დაგეთანხმონ. ისინი აუცილებლობასა და წარმოიდგინე შენს ენერგიას ემორჩილებიან, რადგან იმედი აქვთ, თავს დაგახვევენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას და ყოვლის მომსპობი დროისა და შენს ირგვლივ მოფუსფუსეთა მოქნილი ოსტატობის წყალობით, თანდათან მოიშორებ ჩემით გატაცებას, მერე საბოლოოდ ამოიგდებ გულიდან ამ სისულელეს და ე.ი. მე...

...შენი ახლობლების ეს დაგებული მახეები ჩემს წინათგრძნობას აკრთობენ და უბედურებას უქადიან. მაგრამ არაუშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შემარყიოს, მაგრამ რომ წამაქციოს,–ვერასოდეს. ჩემ წინ დიდი გზაა გაშლილი, თუ ამ გზაზე არ მეღირსა ჩემს რჩეულთან ერთად გავიარო, ე.ი. თუ ოლიკომ გადაიფიქრა ჩემთან ერთად დაადგეს ამ გზას,–რაც ღმერთმა ნუ ქნას! – მაშინ, ყველაფრის დამკარგველს დამრჩება ერთი იმედი–ვიცხოვრო იმ წმინდათაწმინდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდი ხანია ავირჩიე. ერთი სიტყვით მექნება ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დავიტირებ, სუნთქვის საშუალება შემრჩება.

### აკაკი წერეთელი–მეუღლეს ნატალია ბაზილევსკაიას

***21 იანვარი***

მივიღე, ჩემო კარგო მეგობარო, 9 იანვარს გამოგზავნილი შენი წერილი. ცოტა არ იყოს მეწყინა. ღმერთია მოწამე, რომ პირველად მე ყველაფერი მომბეზრდა, თვით საკუთარი, ღვიძლი ინტერესებიც კი არ აღელვებს ჩემს გულს, და სიამოვნებით არ ვიცოცხლებდი თავს, თქვენ რომ არ მყავდეთ. მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ჩემი სიცოცხლე, მხოლოდ თქვენით არის აღსავსე ჩემი გული და თავი...

ღვთის გულისათვის, თავს გაუფრთხილდი და ნუ მოიწყენ. იყავ საკუთარი თავის ღირსი ადამიანი. გახსოვდეს, რომ მხოლოდ კარგი მიზნისკენ სწრაფვა ამხნევებს და ახარებს ადამიანს.

### ივანე მაჩაბელი–ტასო მაჩაბელს

***18 სექტემბერი***

ტასოჯან. დღე ისე არ გავა, რომ რამდენჯერმე არ მომინდეს სტოლთან ჯდომა შენთან წერილის წერა. ისე მომწყურდება, ხოლმე შენთან გამოლაპარაკება, თითქოს მეორე ოთახში იჯდე და კარების გაღების მეტი არა დამჭირდებოდეს–რა, რომ ეგ მშვენიერი თვალები გადაგიკოცნო. პორტრეტები კი, ღვთის წყალობა გაქვს, ბევრი შემოვიმწკრივე გარშემო, რომ შენს მაგივრად შენს სურათს მაინც ვუალერსო ხოლმე. სამძიმოა შენთან შორს ყოფნა, მაგრამ იმედი არ მაკლია, მალე, ძალიან მალე, გაივლის ეს დრო და მით უფრო დიდის სიამოვნებით გამოვექანები შენსკენ, რომ შენ და ელიჩკა გულში ჩაგიკრათ.

### გალაკტიონი–ოლია ოკუჯავას

***ქუთაისი, 6 იანვარი, 1914 წელი***

ოლია! მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება... სიცარიელემ, რომლის განადგურებას არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალოდ შენს ახლო ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ, თუმცა არც შენგან მესმოდა დამამშვიდებელი საუბარი, მაგრამ უბრალო სიახლოვე საკმარისი იყო ჩემთვის.

მაგრამ დღეს ყველაფერი ერთია! ოცნების და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი არ გამახარებს თვით ტკბილის სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე... და...

რაც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით:

სინამდვილეში ექნება მას რაიმე ფასი?

ასეა საქმეები, ჩემო ოლია...

იყავი კარგად... მშვიდობით.

***მარადის შენი გ. ტაბიძე***

***31 აგვისტო, (1914 წელი ქუთაისი).***

ოლკინ! შენ იცი, როგორ სულიერ განწყობილებაში ვიცი მე შენთვის წერილების მოწერა. მოიგონე ჩემი წინანდელი წერილები... ყოველთვის უსათუოდ დიდი მწუხარება მაწუხებდა, მაგრამ ყველაფერი დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება.

თეატრში წაველი, საღამოზე... როგორც მაშინ გითხარი ამ საღამოზე გამოსვლა მე არ მინდოდა, მაგრამ მიცემული მქონდა სიტყვა. გაველი თუ არა დავიწყე „მე და ღამე“, მაგრამ ვერ დავათავე, რადგან დამავიწყდა. უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა ერთმა გარემოებამ: იქვე კათედრაზე ვიღაცას ლექსი დარჩენოდა, ავდექი და მეც ეს ლექსი წავიკითხე. საზოგადოებამ შეატყო, ბევრი მიძახა მეორეჯერ, მაგრამ მე არ გაველი... ყვავილები ძალიან ბევრი მომიტანეს, განსაკუთრებით, როცა თეატრიდან გამოველი. საშინლად ცუდ გუნებაზე ვიყავი.

ოლკინ! ძვირფასო ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი მალე, თორე თავს მოვიკლავ... ასე აღარ შემიძლია, როცა შენთან ვარ ოლკინ, არასდროს ასეთი საქმე არ დამემართება. მაინც რა სულელურადაა მთელი ჩემი ცხოვრება მოწყობილი. არაფერს იგი არ ჰგავს. სახსნელი გზა არსადაა, პირდაპირ. ოჰ, ნეტავი ახლა შენთან ვიყო, მე ყველაფერს გეტყოდი...

ოლკინ, მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე მგონია, არა! ჩემგვარი კაცი შეიძლება განა ვისმეს უყვარდეს? დადებითად ძლიერი ჩემში არაფერი არ არის. რომ ვიყო ბაირონი, ლერმონტოვი, გოეთე... მაშინ შემიყვარებდნენ. მე კი ისევ პატარა და დაწვრილმანებული კაცი ვარ... მაგრამ არაფერია, შენ ისე მითხარი გიყვარვარ ძველებურად?

მე კი ისევ ძველებურად, გაგიჟებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ!

# სპორტი

## დათა ხურცილავას სახელობის თასზე




ქ. ხობში დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში.

შეჯიბრებაში ქ. ხობის უბნების 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც დაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად. A ჯგუფში გამოდიოდნენ გოგებაშვილის, ყაზბეგის, ც. დადიანისა და რეზერვისტების გუნდები. B ჯგუფში ჭყონდიდელის, ჭავჭავაძის, თბილისის და რუსთაველის ქუჩის გუნდები ასპარეზობდნენ.

A ჯგუფიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ყაზბეგისა და გოგებაშვილის ქუჩის ფეხბურთელებმა. B ჯგუფიდან კი ნახევარფინალში ჭყონდიდელისა და რუსთაველის ქუჩის გუნდები გავიდნენ.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ყაზბეგი–ჭყონდიდელი, რუსთაველი–გოგებაშვილი.

ჭყონდიდელის გუნდის ფეხბურთელებმა პენალტების სერიაში 2:2 (2:1) სძლიეს ყაზბეგის ქუჩის ფეხბურთელებს.

რუსთაველისა და გოგებაშვილის ქუჩების გუნდების შეხვედრაში რუსთაველელებმა ადვილად სძლიეს მეტოქეს, შედეგი გახდა 4:1.

მესამე ადგილისთვის მატჩში ყაზბეგის ქუჩის ფეხბურთელებმა 6:3 სძლიეს მეტოქეს გოგებაშვილის ქუჩის გუნდს და მესამე ადგილი დაიკავეს.

ფინალური მატჩში ჭყონდიდელისა და რუსთაველის ქუჩის გუნდებს შორის ჭყონდიდელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა მათ დიდი ანგარიშით 5:2 დაამარცხეს მეტოქე და დამსახურებულად მოიპოვეს დათა ხურცილავას სახელობის თასი.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისათვის.

საუკეთესო მეკარედ აღიარეს მათე ტურავა (გოგებაშვილის ქუჩიდან); საუკეთესო მცველი გახდა–ნუკრი კიტია (რუსთაველის ქუჩა) პრიზი დააწესა ქ. ხობის რწმუნებულმა ბატონმა კარლო ჯობავამ.

საუკეთესო თავდამსხმელის ტიტული მოიპოვა სულხან თოდუამ, („ჭყონდიდელი“). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ირაკლი ჯეჯეია („ჭყონდიდელი“) აღიარეს.

ტურნირი დაფინანსებული და ორგანიზებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

დაჯილდოების შემდეგ ტურნირის მონაწილეებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ახლობლებმა ყვავილებით შეამკეს დათას საფლავი და დაბადების დღე მიულოცეს.



## მაგიდის ჩოგბურთი

17–22 თებერვალს ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

შეჯიბრებაში 12 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდურ პირველობაზე შუა ხორგისა და ქვემო ქვალონის საჯარო სკოლების გუნდებმა ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხეს და ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაძაბულ ბრძოლა-



ში ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი გულნარა ტაბაღუა, სპორტის მასწავლებელი ანატოლ ჩართია) და პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია), მესამე ადგილი წილად ერგოთ ჭალადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებს (დირექტორი ირმა ხარშილაძე, სპორტის მასწავლებელი პაატა ხვიჩია).

ინდივიდუალურ პირველობაზე (ჭაბუკები–გოგონები) ისევ ფინალისტ სკოლების მოსწავლეები დომინირებდნენ. ჭაბუკებში პირველი–მეორე ადგილები მოიპოვეს ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ანრი მამფორიამ და რატი რატიანმა, მესამე ადგილი დაიკავა შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლემ თემო ლატარიამ. გოგონებში კი უძლიერესები აღმოჩნდნენ შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პირველი–მეორე ადგილები დაისაკუთრეს თამუნა თითმერიამ და თეონა ლატარიამ. მესამე ადგილი ნინო ქირიამ დაიკავა (ხამისკურის საჯარო სკოლა. დირექტორი ლელა კუკავა, სპორტის მასწავლებელი თემურ სვანიძე).

შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი თასებით, პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრება დაფინასებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახლგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (უფროსი ჯულიეტა ქვარაია).

## წარმატებით იასპარეზეს

7–11 თებერვალს ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა ფრენბურთში.

ჭაბუკთა შორის პირველობაზე 10 გუნდი იღებდა მონაწილეობას, სადაც დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

წარმატებით იასპარეზეს საჯიჯაოს საჯარო სკოლის ფრენბურთელებმა მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი (დირექტორი ელშუქ ტყებუჩავა, მასწავლებლები ღუღუნი მიქავა, კორნელი ნადარაია).

მეორე ადგილზე გავიდა პირველი მაისის საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი ნინო ცხადაია, ფიზკულტურის მასწავლებელი მერაბ ქანდარია).

მესამე ადგილი ერგო ხობის №1 საჯარო სკოლის ფრენბურთელთა გუნდს (დირექტორის ქეთევან გაბისონია, მასწავლებელი კობა თუთბერიძე).

გოგონათა პირველობაც დაძაბულად წარიმართა, სადაც უძლიერესები ჭალადიდელები აღმოჩნდნენ, მათ შეძლეს მეტოქეთა დამარცხება და პირველი ადგილი დაიკავეს (დირექტორი ირმა ხარშილაძე, მასწავლებელი პაატა ხვიჩია).

მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად საჯიჯაოსა და ხობის №1 საჯარო სკოლის ფრენბურთელებმა დაიკავეს.

პირველ ადგილზე გასული გუნდები გაზაფხულზე რეგიონალურ და რესპუბლიკურ პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას.

**გვერდი მოამზადა ლევან ლემონჯავამ**

# შ.პ.ს. „დე–კრედიტი“

ს/კ 404863876

ქ. თბილისი 24.02-2011 წელი

## შეტყობინება

**ბატონო რევაზ!**

2010 წლის 27 დეკემბერს თქვენსა და შ.პ.ს „დე-კრედიტი“ შორის დადებული სესხისა და გირავნობის №93-ე ხელშეკრულების 3.5–ე პუნქტის თანახმად 2011 წლის 27 იანვარს შ.პ.ს. „დე–კრედიტი“-ს სასარგებლოდ უნდა დაგეფარათ საპროცენტო სარგებელი 696 (ექვსასოთხმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, რაც თქვენი მხრიდან არ განხორციელებულა.

მითითებული წარმოადგენს ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული, თქვენი, როგორც დამგირავებელის ვალდებულების დარღვევას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „დე–კრედიტი“ ხელშეკრულების 4.1.5. პუნქტით წარმოშობილი უფლების თანახმად, როგორც მოგირავნე, თქვენგან–დამგირავებელ რევაზ ლოლუასგან

**მოითხოვს:**

1. ხელშეკრულების 12.1-ე, 12.2-ე პუნქტების, თანახმად დაუყონებლივ წარმოადგინონ გირავნობის საგანი; მარკა–ინფილიტი EX 35. გ/წელი 2008, სახელმწიფო სარეგსტრაციო–№ICI 1999, ტიპი და ფერი–შავი. მსუბუქი მაღალი გამავლობის, ტრანსპორტი. სარეგისტრაციო მოწმობის სერია №-CVO 149821, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №-JNRAJO5YX8M100823, მისამართზე: ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზირი 52/54.

2. დაუყოვნებლივ დაუბრუნოთ შ.პ.ს. „დე–კრედიტს“ №93 ხელშეკრულებით (3.1. პუნქტი თქვენზე სესხად გაცემული ძირითადი თანხა 8 700 (რვაათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

3. ძირითად თანხაზე 3.5.-ე პუნქტით გათვალისწინებული დარიცხული საპროცენტო სარგებელი, რაც ყოველდღიურად შეადგენს 22.45 (ოცდაორი ორმოცდახუთი) ლარს. აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, 2011 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით 628.60 (ექვსასოცდარვა და სამოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

2011 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით, თქვენი სრული დავალიანება შეადგენს სესხის ძირითად თანხას 8 700 (რვაათას შვიდას) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი 628.60 (ექვსასოცდარვა და სამოცი), ჯამურად–9 328.60 (ცხრაათას სამასოცდარვა და სამოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

ასევე გატყობინებთ, რომ 12.3-ე პუნქტით „გირავნობის საგანი რეალიზაციის ორკვირიანი ვადის ათვლა იწყება ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით დადგენილი წესით გაფრთხილების (შეტყობინების) დამგირავებლისათვის გადაცემის დღის 24 საათიდან და იწურება მე-14 დღის 24 საათზე“.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს-ს „დე–კრედიტი“ მიერ საქართველოს შიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გატარებული იქნება ხელშეკრულებაში მითითებული 4.2.5., 4.2.3. პუნქტებში, ე.ი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის I ნაწილით, 260-ე მუხლით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

*დირექტორი:*

*დავით მჭედლიშვილი*

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ მანანა კვირიკაშვილს და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს გოდერძი ბუკიას ძმისა და ცოლისძმის

**გია კვირიკაშვილის**

გარდაცვალების გამო

---

შპს „ხობის მოამბეს“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მანანა და გოდერძი ბუკიებს ძმისა და ცოლისძმის

**გია კვირიკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნანი კილასონია, თამუნა და გიორგი ბუკიები შვილებით თანაუგრძნობენ მანანა კვირიკაშვილსა და გოდერძი ბუკიას ძმისა და ცოლისძმის

**გია კვირიკაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ნაპო ბუკია ოჯახით თანაუგრძნობს გოდერძი ბუკიას ცოლისძმის

**გია კვირიკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**ხსოვნა**

# ასე იქნება დაუსრულებლად...

## გოგი ბუკია



მომნატრებია უძილო ღამეებითა და მღელვარებით განვლილი წლები, რომლითაც ხშირად მაჯილდოებდი. უძილობა და ნერვიულობა ახლაც არანაკლებ მაწუხებს... ოთხი წელია დასრულდა შენი მოლოდინი, დიდი და პატარა სიხარულები. რომელთაც სიურპრიზებად მჩუქნიდი, ყველგან და ყოველთვის მაგრძნობინებდი, რომ შენთვის ერთადერთი და სათაყვანო ქალი ვიყავი. მაკლია შენი გულის სითბო, გულისხმიერება და შენგან ნაბოძები დიდი და ლამაზი სიყვარული.

ოთხი ტკივილიანი და დაუსრულებლად მოლოდინის წლები გაილია. თითქოსდა შევეჩვიეო უშენობას, მაგრამ ის ტკივილი, რომელსაც ჩემს გულში დაუბუდებია, ახლაც გაუსაძლისია და ასე იქნება მანამ, სანამ მარადიულ სამყოფელში შევხვდებით. ეს კი როდის იქნება არ ვიცით, ეს მხოლოდ ღვთის ნებაა და მას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება.

რვა მარტს მარტოობამ გული საშინლად მატკინა. მოვძებნე ის წითელი ხელოვნური ყვავილი, ამ ოთხი წლის წინათ ლამაზად შეფუთული, რომ მისახსოვრე. ყვავილმა საოცრად მომიალერსა, მაგრძნობინა, რომ დღესაც ჩემს გვერდით ხარ, რომ ისევე გახსოვხარ და გვიყვარს ერთურთი, ისევ მილოცავ გაზაფხულის დღესასწაულებს...

გული ძალიან მტკივა, რომ ვერ ნახულობ შენს დავაჟკაცებულ ერთადერთ ნუგეშს–გიორგის, შენს რძალს–თამუნას და პატარა ცუგრუმელა გოგო-ბიჭს–ტატასა და გოგის. უფროს შვილიშვილს, ჯერ კიდევ დაბადებამდე დაარქვი შენი უსაყვარლესი დის სახელი, მეორეს კი გიორგიმ შენი სიყვარულის ნიშნად გოგი დაარქვა. ასე, რომ დღეს ეს ოთხი არსება მილამაზებს ყოველდღიურობას და უშენობას მივსებს. მართალია, ყოველთვის ჩემთან ვერ არიან, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება, ჩვენი სურვილი ხომ მხოლოდ მათი კარგად ყოფნაა.

გაზაფხულია. იმ წელსაც გაზაფხული იყო, 26 მარტი, როცა შენ დაგვტოვე, ის დღე ჩემს ცხოვრებაში ჩვენი თანაცხოვრების ბოლო დღე აღმოჩნდა, ლამაზ სიურპრიზებს შეჩვეულს, მწარე სიურპრიზი მერგო...

ახლაც მოვიდა გაზაფხული, შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მეოთხე წელი. გვტკივა, უშენობა ჩემო გოგი და ასე იქნება დაუსრულებლად...

***ნანი კილასონია***

---

# თემურ სალაყაია



დეკემბრის სუსხიან საღამოს კიდევ ერთხელ შეიკრიბა თემურ სალაყაიას საფლავთან მისი მონაგარი. ეს მერამდენედ იწვიან სანთლები. დღეს მისი მოფერების და მოსაკლისების დღეა. ის ხომ ძალიან ახალგაზრდა ბაბუა წასულა ამ ქვეყნიდან. არსთა განმრიგემ ასე ინება, თვითონაც ღვთის მოშიში და მოსიყვარულე, ღვთის ნებას მიჰყვა. სიყვარულით სავსე გულმა მიაცილა საიქიომდე. სურათებიდან ლამაზი და სიმპათიური მამაკაცი მიმზერს, მასზე მონათხრობს სიკეთის კეთება, კეთილშობილება, მოყვასის სიყვარული და ერთგულება ახლავს თან. ბედნიერი და ამაყი ვარ ამის გამო, ტკივილიანი და სევდიანი კი იმიტომ, რომ მას სიცოცხლეში არ ვიცნობდი. არადა როგორ ჭირდებათ დღესაც მისი რჩევა, როგორ ეფერებიან მის სახელს არა მარტო მის, არამედ ჩემი და ბიძაჩემის ოჯახებში...

თქვენი სახელი დიდ ტკივილთან არის გაიგივებული ბატონო თემურ. მეც თქვენი უახლოესი ადამიანის რძალს, მგონია ბავშვობიდან გიცნობდით, მიყვარდით... დიდება თქვენს სახელს, თქვენი ახლობლები არასოდეს დაგივიწყებთ.

***ნათია ძერია.***

---

# მარტი, ტკივილიანი მარტი...

## კატუშა წურწუმია–კილასონია



დრო ულმობლად, სიხარულებითა და ტკივილებით აღსავსედ გაილია. შენთან ჩვენო დედიკო მხოლოდ მოგონებები, შორეული სითბო და ალერსი გვაკავშირებს. ჩემო ლამაზო და ტკბილო დედიკო, როგორ გვენატრები, ჩვენს მონატრებას შენს საფლავთან მისვლით ვიოხებთ შენი შვილები. შენი ერთადერთი დარჩენილი სიძე ანზორი და აქ მყოფი შვილიშვილები, სხვები კი შორიდან გეფერებიან...

ადამიანი ალბათ ყველაფერს ეჩვევა, არ ვიცი, ჩვენ ასე არ გვინდა, მაგრამ ასეა... უშენოდ თუ ვიარსებებდით არ გვეგონა, თუმცა ცხოვრება ისევ გრძელდება...

შენ 9 მარტს დაიბადე და 23 მარტს მიიცვალე ჩვენო დედა. გაზაფხულს მოსული გაზაფხულზე წახვედი, არადა იტყვიან, მარტი ქალების თვეაო... მაგრამ ასე მოხდა. მარტი დიდიხანია შეგვძულდა, მარტმა ჯერ შენ და მერე გოგი წაგვართვა. ორივენი უსაყვარლესი ადამიანები ხართ ჩვენთვის.

ჩვენო კეთილო, ტკბილო, სხვისთვის დახარჯულო, განსწავლულო, ოჯახისათვის თავდადებულო და ყველასათვის კეთილმოსურნე ადამიანო, ექვსი შვილის გამზრდელო დედავ, ვეთაყვანებით შენს სულს შენი შვილები, გვწამს, რომ შენმა სულმა დიდიხანია უფლის სიახლოვეს დაივანა, რადგანაც პატიოსანი, კეთილი და უბოროტო ადამიანები იქ მკვიდრდებიან.

დედა, შენ და მამამ ყველაფერი იცით შვილებსა და მათი ოჯახების შესახებ, იცით, რომ თქვენს ოჯახს თქვენს მერე სიძეები ზურა, გია და ირაკლი შეემატა, რძლები თამუნა და ნანა. ვიცით, იქიდან როგორ გვიცავთ, როგორ გვეფერებით, დაგვკანკალებთ, განიცდით, გტკივათ და გიხარიათ თითოეული ჩვენთაგანის წარმატება. მადლობელი ვართ დედიკო, რომ ასეთი კარგი იყავი, შენ გვასწავლე დიდი სიყვარული, ულალატობა, ურთიერთპატივისცემა და ოჯახის დიდი სიყვარული. მამა და შენ ხომ ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი. ჩვენც ასეთივე გავიზარდეთ.

დედა, მართალია თქვენმა დანატოვარმა ოჯახმა ძველებურად ეკონომიურად წინ ვერ წაიწია, მაგრამ სულით ამაღლებულები მრავლდებიან, შვილიშვილის შვილები და ერთი შვილისშვილისშვილი მომატებია შენს მრავალრიცხოვან ოჯახს.

შენეული სითბო და დარიგებები გვაკლია, კიდევ ერთხელ დაგვმოძღვრე ჩვენო დედიკო, დაგვლოცე. ხომ იცი, დედის ლოცვას რა ძალა და მადლი აქვს. ვიცით, შენს ქალიშვილებს, შვილიშვილებს და რძლებს პატარა „ქალბატონებს“, შვილთაშვილიშვილს ულოცავთ დედისა და ქალის დღეს. ჩვენ კი ამ დღეებთან ერთად დაბადების დღე მოგვილოცნია, დედა, ჩვენო სათნო და თბილო ადამიანო. მოგვნატრებიხარ, ვეფერებით შენს უკვე მოხუც, ნაჯაფარ, შვილებზე ნალოლიავებ საყვარელ ხელებს და გიკოცნით მას.

დაბადების დღესთან ერთად ვწუხვართ და ცრემლებით აღვნიშნავთ შენი გარდაცვალების დღეს...

ოჰ, ეს ტკივილიანი მარტი...

***შვილები***

## მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

### ნინი კვარაცხელიას!



ნინი, ჩემო საყვარელო ბიძაშვილო. ჩვენ შორიდან ვესიყვარულებით ერთმანეთს, თითქმის თანატოლები, პატარები, ანცი გოგონები, ჩვენი მშობლების სათაყვანო არსებები.

ყველანი ერთად გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი და უღრუბლო ყოფილიყოს ჩვენი ბავშვობა.

მიყვარხარ, გკოცნი!

*შენი ანი კვირკველია.*

### მათე, მამი!

ახლაც გვიანია, მათე... ღამის სამის თოთხმეტი წუთია...

შენც გძინავს და არც შენ იცი, რომ 17 მარტს ორი წლის ხდები, მამის დიდგულავ...

უკვე დიდი ბიჭი მყავხარ, დედის გულო... სამყაროსაც აღიქვამ და შენი სამყაროც შექმნილი გაქვს, ჩემო გვადალა...

შენეული ლექსიკით მეტყველებ, მამა გენაცვალოს, და დედიკოსაც შედგენილი აქვს ლექსიკონი...

ყველაფერს ვიწერ, დედი, რას ამბობ, რას აკეთებ, როგორ იქცევი არ მინდა, შენი პატარაობის მცირე დეტალიც გამომრჩეს...

შენებური წესრიგი გაქვს, მამი თუ ვინმეს საქციელი არ მოგეწონა, კითხულობ „თემო?“ (ვცემო?- შენებურად)...

მარის ვერ ვუბრაზდებით, მათუ... „მალი ხილის“-ო—იტყვის და გვცემ დედ-მამას.. მარიც ასეა, სულ გეფერება, ხელში აყავხარ, გეთამაშება, მამი...

ჭკვიანი ხარ, მათე, ჯვარი გწერია...

ხშირად გვაოცებ შენი საქციელით, დედი, უფალი შეგეწიოს...

დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო...

უფალს, მარიამ, ღვთისმშობელს, ყველა წმინდა ხატ—სალაცოვს შენს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ მომავალს შევთხოვთ, მათუ დაბადების დღეების სათვალავი არ მოგშლოდეს, ჩვენო ვაჟკაცო!..

ოღონდაც ღმერთი შენს ჭაბუკობას მომასწრებდეს, მამი, და... სათქმელი ყელში მეჩხირება, ქაღალდი სველდება...

მაპატიე, შვილო! გაიზრდები და მიხვდებიან.

**ზაზა შულაია.**

## ფ ე რ მ ე რ ი

### რომელი სარგავი მასალაა უკეთესი?



ნერგი უმჯობესია იყოს ერთწლიანი; ძლიერი და კარგად დატოტვილი ფესვით; სწორი ზრდის; სიმაღლით–130-160 სმ, დიამეტრით–10-12 მილიმეტრი; ნერგის დარგვა შემოდგომაზეც (ფოთოლცვენის დამთავრებისთანავე) და გაზაფხულზე (კვირტების დაბერვამდე) შეიძლება.

### როგორ დავრგოთ ნერგი?

დარგვის წინ ნერგი შეამოწმეთ ფესვს დაზიანებული ნაწილები წაუკვეცეთ, რომ ორმოში კარგად გაიშალოს. ფესვებს შორის სიცარიელე ფხვიერი მიწით შეავსეთ და დატკეპნეთ; მიწის მიყრისას ნერგი აწევ–დაწევით ფრთხილად შეარხიეთ. დარგვისას ნეგრის სიგრძე–სანამყენეს შეხორცების ადგილი მიწის ზედაპირდან 3-5 სანტიმეტრით ზევით დატოვეთ. შეხორცების ადგილი სამხრეთისაკენ მიაქციეთ. ნერგი დარგვისთანავე უნდა მორწყათ. რამდენიმე დღეში, როცა ორმოში მიწა დაიწევს, ნერგი სარზე ააკარით, არ დარგოთ ხე გამხმარ ხესთან 1,5 მეტრზე ახლოს, თუნდაც გამხმარი ხე მოჭრილი იყოს–მისი ფეხვები ნერგს ზრდაში ხელს შეუშლის.



### როგორ დავთესოთ საზამთრო?

საზამთრო მრავალწლიანი ბალახების კორდზე ითესება. მისთვის კარგი წინამორბედია კომბოსტო, პომიდორი, ბადრიჯანი. საზამთროსათვის ნიადაგი მზრალად 28-30 სმ სიღრმეზე წინმხვნელი გუთნით იხვნება. ადრე გაზაფხულზე ნაკვეთი იფარცხება. საზამთრო ნაღარში წყლის მეშვეობით ირწყვება. ნაღარი კეთდება 12-18 სმ სიღრმეზე. დიდ ფართობზე საზამთრო კვადრატულ–ბუდობრივად და მწკრივში სათესი მანქანებით ითესება, ყოველ ბუდნარში დათესეთ 4–6 ცალი თესლი, მათ შორის სასურველი მანძილია 20-25 სმ, მწკრივებს შორის –1,4–2,1 მეტრი. აღმოცენებისთანავე მწკრივებს შორის კულტივაცია 3-5-ჯერ ტარდება. პირველი ორი კულტივაცია 10-12 სმ სიღრმეზე, შემდეგი დამუშავება კი 7-8 სმ სიღრმეზე.

### როგორ დავთესოთ ოხრახუში?

ოხრახუშის თესლი შემოდგომიდან დაწყებული მარტის ბოლომდე სწორ ზედაპირზე ან კვლებში ითესება. ნიადაგის დამუშავება დაიწყეთ მზრალად ხვნით 25 სმ სიღრმეზე. გასანოყიერებლად საჭიროა ხვნამდე 1 ჰექტარზე 40–70 კგ ფოსფორი, 60–60 კგ კალიუმი, თესლი ადრე გაზაფხულზე, ნიადაგის დამუშავების შემდეგ ზოლებრივად, ხუთი მწკრივით ითესება (ზოლებს შორის მანძილი 45-50 სმ, მწკრივებს შორის–20–25 სმ), თანმიყოლებული მორწყვით. ჩათესვის სიღრმე უნდა იყოს 2-3 სმ.

### როგორ გავაუმჯობესოთ დაბალნაყოფიერი ნიადაგი?

დასავლეთ საქართველოს „მჟავე ნიადაგის“ გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალება მისი მოკირიანებაა. მოსაკირიანებლად გამოიყენება კირშემცველი სასუქები: კირქვები, დოლამიტები, ტკილი, შაქრის ქარხნის ანარჩენი (დეფეკაციური ტალახი), გლაუკონიტური, ფოსფატები, ჭოგნარის თიხები, ნიადაგში ერთ ჰექტარზე შეაქვთ 8-109 ტონა ასეთი სასუქი. აღმოსავლეთ საქართველოს ბიცობი ნიადაგების გაუმჯობესების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება მისი მოთაბაშირებაა, რაც უნდა ჩატარდეს თიხა-თაბაშირის (გაჯი) და რკინის ძაღის (ჰექტარზე 10 ტონა) გამოყენებით. ასევე, ეფექტურია ღრმა ხვნა 40 სმ სიღრმეზე ბელტის გადაბრუნების გარეშე. მოსაკირიანებელი და მოსათაბაშირებელი მასალაბი ფხვიერ მდგომარეობაში ნიადაგში შეიტანება წლის ნებიემიერ დროს. საჭიროა ფართობზე მათი თანაბრად განაწილება და 15–20 სმ-ის სიღრმეზე ჩახვნა.

## წარმატებული მოჭადრაკეები



ფრიად წარმატებული გამოდგა თებერვლის თვე ხობის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებისათვის.

ქ. ფოთში მიმდინერე წლის 16 წლიან გოგონათა პირველობაზე გვასახელა ჩვენმა ტიტულოვანმა მოჭადრაკემ მარიამ ჭაჭიამ, მან მისი უშუალო კონკურენტები პირველი ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ჩემპიონი გოგონათა შორის ადა ქაქუთია, ასევე საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე გოგონა თათია კოხრეიძე დაამარცხა და დამსახურებულად გახდა ჩემპიონი.

თორმეტ წლიან ჭაბუკებში მეხუთე ადგილი დაიკავა ამირან შონიამ.

ერთკვირიანი ინტერვალის შემდეგ უკვე ზუგდიდმა უმასპინძლა ათ წლიანთა სამეგრელო–ზემო სვანეთის ჩემპიონატს. დაუმარცხებლად 7 შესაძლებლობიდან 5,5 ქულით 1–3 ადგილები გაიყო ნორჩმა მოჭადრაკემ გიორგი ლატარიამ. მეხუთე იყო ლუკა შამუგია, მერვე დიმიტრი ლომაია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს წარმატება ნორჩ მოჭადრაკეთა წრის ხელმძღვანელის მამუკა გეთიას დამსახურებაა.




მალე ქუთაისში და თბილისში დაიწყება 12 და 10 წლიანთა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა ჭადრაკში, სადაც გათამაშდება უმაღლესი ლიგის საგზურები.

გზა დავულოცოთ ხობელ მოზარდებს მომავალი დიდი წარმატებებისაკენ.

**ნათია ძერია**

## გაზაფხულდა...



დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
დირექტორი
ნატო ლომაია
რედაქტორი
მანანა შულაია
ნომრის მორიგე
ნანი კილასონია
პასუხისმგებელი მდივანი
მერი ლაგვილავა
დამკაბადონებელი
ჯულიეტა ლატარია
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81;
855-119-900
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს.
გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით